# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 3 აპრილი 2004 №74 (2093) | ფასი 50 თეთრი


# ფედერაცია ფერო ფული

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წელი და სახსრები გამართა: ფეროს მყიდველი ავსტრიელები დაისპონსორა






# საყოჩაღბიჭო ამბავი!

## 79:75 ხორვატიაში ხორვატებთან

გამრუდებულს გასწორება უნდა. ჰოდა, ხორვატიაში ევროპირველობის საგზურისთვის ჩასულმა ქართველმა ჭაბუკმა კალათბურთელებმაც გუშინწინ იტალიასთან სადებიუტო მარცხი გუშინ მასპინძელი ხორვატიის 79:75 ძლევით გააბათილეს და მომავალი თამაშებისთვის ხასიათიც გამოიკეთეს. 31 ქულა მოიხვეჭა ხორვატებთან სრული 40 წუთით ნათამაშებმა მანუჩარ მარკოიშვილმა, 19 ქულას 14 მოხსნა მიაყოლა ვიქტორ სანიკიძემ და 11 ქულა მოუგროვდა გიორგი ცინცაძეს.

ორი მძიმე მატჩის შემდეგ ქართველ ჭაბუკებს იქნებ ამოსუნთქვის საშუალება მიეცეთ, დღეს ექვსგუნდიანი ჯგუფის აუტსაიდერ ფინეთს ხვდებიან.




მანუჩარ მარკოიშვილმა (№11) წუხელ ხორვატებს 31 ქულა ჩაუგდო


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი


# თბილისური ჰაჯიმე

## ვინ გათხრის გვირაბს სპორტის სასახლიდან ათენში?

დღეს და ხვალ ვისაც სპორტის სასახლეში ფეხი შეუცდება, მას იქ ტატამზე არ დახვდებიან იასუჰირო იამასიტა, დევიდ დუიე ან ძიუდოს სხვა ლეგენდები. გამოცდილი თვალი მსოფლიოს ჩემპიონებსაც ძნელად მოძებნის, რადგან ვინც კი დღეს მეტოქეს მუხლებს უცახცახებს, ყველას ჯიბეში აქვს ათენის ოლიმპიადის საგზური.

მაგრამ მაინც მიბრძანდით დღეს და ხვალ სპორტის სასახლეში ძიუდოს ძველო, ახალო და ჯერ არშეძენილო ქომაგებო. თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ერთ-ერთი ბოლოა ათენის გზაზე. ასე რომ, ვისაც ოლიმპიური ლიცენზია სპორტული ცხოვრების მიზნად გაუხდია და აქამდე ვერ მოუპოვებია, დღეს მათი დიდი ნაწილი თბილისურ ტატამზე თავდაუზოგავად დაეჭიდება ერთმანეთს.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



საქართველოს ნაკრებს ახალი სპონსორი ჰყავს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ანუ „ფერო“. უფრო ზუსტად ვთქვათ — „ფეროს“ აქციათა საკონტროლო პაკეტი ამას წინათ ავსტრიულმა კომპანია „დეკომეტალმა“ შეიძინა და ფედერაციის პარტნიორებიც ისინი იქნებიან. „დეკომეტალის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში ფიფას ლიცენზირებული აგენტი ილია კოკაია გახლავთ, რომლის სახელიც ნაცნობია ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის

# სადაც ნაკრები, იქაც ფერო

გუშინ სწორედ ილია კოკაიამ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჟურნალისტების თანდასწრებით სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს — „ფერო“ ნაკრების სპონსორად გამოცხადდა.

— ადრე ვთქვი, რომ ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთ-ერთ ავსტრიულ ფირმასთან, რომელსაც ჩვენი ნაკრების სპონსორობის სურვილი ჰქონდა. ახლა, როცა ყველაფერი გადაწყვეტილია და კონტრაქტის გაფორმებას ხელმოწერა აკლია. გეტყვით, რომ ნაკრების სპონსორი „ფერო“ იქნება. ამ საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტი სწორედ ავსტრიელებმა შეიძინეს. ფეხბურთის ფედერაციას სამომავლოდ დიდი პროექტები აქვს. ეროვნულ გუნდს ფრანგი ალენ ჟირესი ხელმძღვანელობს, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს შევთავაზეთ და მასთან კონტრაქტს ამ დღეებში გავაფორმებთ. ამ ყველაფერს კი ფინანსური დახმარების გარეშე ვერ შევძლებდით, ჩვენ მხარდაჭერა გვჭირდებოდა. მადლობა ავსტრიულ კომპანიას, მის წარმომადგენლობას საქართველოში, ილია კოკაიას, ჩვენ ახლა უფრო წელგამართულები ვიქნებით — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

— ბედნიერი ვარ, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ და საშუალება გვაქვს, დავეხმაროთ ქართულ ფეხბურთს. „დეკომეტალს“ სპონსორობის გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, ფედერაციასთან ჩვენი ურთიერთობა უპრობლემო იქნება. ვინც მიცნობს, იცის, რომ ყოველთვის ფეხბურთში ვიყავი და რაც შემეძლო, ვეხმარებოდი ჩვენს ფეხბურთს. „დეკომეტალის“ ხელმძღვანელობა ფეხბურთის დიდი ქომაგი არ არის, მაგრამ ფედერაციასთან ჩვენი ურთიერთობა ავსტრიელებს ფეხბურთითაც დააინტერესებს — განაცხადა ილია კოკაიამ და კონტრაქტზე ხელის მოსაწერად კალამი მოიმარჯვა. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ კი მოსწრებულად იხუმრა — „ფეროსთან“ კონტრაქტის გაფორმება გუშინაც შეგვეძლო, მაგრამ 1 აპრილი იყო და...

— კონტრაქტის ფინანსურ დეტალებს ვერ ვიტყვი, რადგანაც საკითხი კონფიდენციალურია. „ფეროსგან“ დახმარებას ყოველ ექვს თვეში ერთხელ მივიღებთ. ერთი წლის შემდეგ შესაძლოა ხელშეკრულებას გადავხედოთ კიდეც. თუმც, ავსტრიელები ისედაც სოლიდურ თანხას იძლევიან. უახლოეს მომავალში დამზადდება „ფეროს“ სარეკლამო ლოგო, ფირნიშები და სადაც ნაკრები, იქაც „ფერო“ იქნება — მერაბ ჟორდანია აშკარად კარგ ხასიათზე იყო.

შეგახსენებთ, ფედერაციას ერთი სპონსორი უკვე ჰყავს — „ყაზბეგი“, ჰყავს ტექნიკური სპონსორიც — „პუმა, ახლა კი „ფერო“!

ავსტრიული „DCM დეკომეტალი“, რომელიც 1846 წელს დაფუძნებულა, მსოფლიოში ფერად ლითონთა გადამუშავება-წარმოების ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიად ითვლება.

**კობა ინასარიძე**

# მინისტრმა აკადემია აკადემიურად დაათვალიერა

## შეღავათი, დახმარება, სინქრონი

*ყურადღება-დახმარება სახელმწიფოს მხრიდან ქართულ ფეხბურთსა და სპორტს წინა მთავრობის დროს ძალიან მწირი ჰქონდა, ხოლო ახალი ხელისუფლების ხელში რა როგორ იქნება, ანი გამოჩნდება. გუშინ კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი საფეხბურთო აკადემია „ოლიმპს“ ესტუმრა და იქაურობა საგულდაგულოდ დაათვალიერა, მერე კი ჟურნალისტებთან საუბრისთვისაც მოიცალა*



— აქ ნანახმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — ჩანს ის თანამედროვე მიდგომა საქმისადმი, რაც ძალიან სჭირდება ჩვენს სპორტს. ასეთი საქმისთვის გაღებული ინვესტიცია არავითარ შემთხვევაში არაა დაკარგული — ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეს აკადემია მომავალი თაობის ჯანმრთელობასაც ემსახურება.

**— რით შეუძლია სახელმწიფოს საფეხბურთო სკოლების დახმარება?**

— ამ მიმართულებით ბევრი რამაა გასაკეთებელი. პირველ რიგში ალბათ ის, რომ ცვლილებები შევიტანოთ საგადასახადო კანონში — საფეხბურთო სკოლები და, ვთქვათ, კაზინო-რესტორნები ერთნაირი რეჟიმით არ უნდა იბეგრებოდეს, სპორტში გრანტის სახით მიღებული ინვენტარი კომერციულ პროდუქტად არ უნდა შეფასდეს, მიწის გადასახადიც სხვა უნდა იყოს — მოკლედ, ყველაფერ ამაზე სერიოზულად ვიმუშავებთ.

**— საფეხბურთო კლუბებს რითი უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს?**

— სანამ საფეხბურთო კლუბი ფინანსურად მომგებიანი არ გახდება, მას ხელი უნდა შევუწყოთ იმით, რომ სპონსორებს გადასახადები შეუმსუბუქდეთ.

**— ყველაფერ ამას როგორ განახორციელებს ხელისუფლება?**

— მოგეხსენებათ, მთავრობაში ერთიანი პოლიტიკური გუნდია მოსული და პროცესები სინქრონული იქნება — სახელმწიფო ბიუჯეტი სპორტისთვის საჭირო დახმარებას სრულად ვერ გასწვდება, ამიტომ სპორტში შეღავათები უნდა დაწესდეს.

**დავით თავართქილაძე**

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი**

## ჩვენი მეტოქეები



# ბუღას ილუზია რქებზე ჰკიდია

**თურქეთი**

*„ტრაბზონსფორის“ ყოფილი კაპიტნის, არველაძეების თანაგუნდელის, ამჟამად კი თურქეთის ნაკრების დროებითი მწვრთნელის უნალ კარამანის ნათლობა ზაგრებში შედგა. 38 წლის კაცისთვის ხორვატებთან სადებიუტო ფრე ურიგო შედეგი არაა. ფეხბურთელობისას „შავ ბუღად“ წოდებულ კარამანს გუშინ დავუკავშირდით...*

— მართალია დროებით, მაგრამ 38 წლის კაცმა ესოდენ ამბიციური ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობა რატომ ითავეთ?

— ვფიქრობ, გიუნეშთან მუშაობამ საკმაო ცოდნა და გამოცდილება შემძინა საიმისოდ, ამ საქმეს თუნდაც დროებით რომ შევეჭიდო.

— თქვენი მასწავლებელი, ყოფილი მწვრთნელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანი შენოლ გიუნეში ფედერაციამ არ დაინდო. რამდენად სავარაუდოა, რომ ჰალუკ ულუსოი 38 წლის კარამანს ამხანაგურ მატჩებში წარმატებისთვის ნაკრებს ორი-სამი წლით ჩააბარებს?

— ამის ილუზია არ მაქვს. ფედერაციას ამ მომენტში სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და სანამ ახალ მწვრთნლს დანიშნავენ, გუნდის თავკაცობა მე შემომთავაზეს. ეს ჩემთვის დიდი პატივია და საქმის გაძღოლაც ამიტომ ვიკისრე.

— თურქული გაზეთების ცნობით, თქვენ გამოსაცდელი ვადა მოგცეს.

— ჩემთვის ფედერაციაში მსგავსი არაფერი უთქვამთ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ხორვატებთან გუნდი მე უნდა გამეყვანა.

— უახლოესი ამხანაგური მატჩი აპრილის ბოლოს ბელგიასთან გაქვთ. ამ შეხვედრისთვის ნაკრებს ისევ თქვენ მოამზადებთ?

— ეს ჯერ უცნობია. ჰალუკ ულუსოი კანდიდატებთან მოლაპარაკებას აწარმოებს და შესაძლოა, აპრილის ბოლოს სხვა მწვრთნელი გვყავდეს.

— ყველაფერი სათქვენოდ რომ აეწყოს და ფედერაციამ კონტრაქტი შემოგთავაზოთ, დათანხმდებით?

— დიახ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტირანაში სტუმრები ქულებს და კომპლიმენტებს სტოვებენ

**მიქელე იანკუ**

*საგანგებოდ სარბიელისთვის*

**ტირანიდან**



**ალბანეთი**

— დარწმუნებული ვარ, ტირანიდან სამი ქულის წასაღებად უმაღლესი კლასის გუნდს მთელი ძალით თამაში მოუწევს, საშუალო დონის გუნდი კი აქ საერთოდ ვერ მოიგებს — თქვა ოთხშაბათის მატჩის შემდეგ ისლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ასგეირ სიგურნილსონმა.

ალბანელებს სურთ, ასე იყოს და სიგურნილსონის სიტყვები გამართლდეს, მაგრამ ამხანაგური მატჩის შემდეგ ასე ლაპარაკი უფრო კომპლიმენტს ჰგავს. ისე კი, ფაქტია, ალბანეთის ნაკრებს უკვე სამი წელია, ტირანაში არც ამხანაგური მატჩი წაუგია, არც — ოფიციალური.

ისლანდიასთან კი მასპინძლებმა ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, ჰანს-პეტერ ბრიგელი რომ ასწავლის — სწრაფი, ტექნიკური, მინიმალური ხარვეზით და, რაც მთავარია, ჟინით. ნამატჩევს ბრიგელმა სწორედ ეს აღნიშნა, ყველაზე მეტად ბიჭების მონდომებით დავრჩი კმაყოფილიო.

თამაში ალბანეთმა ოპტიმალური, სადღეისოდ უძლიერესი შემადგენლობით დაიწყო: სტრაკოშა, ჩიპი, ალიაი, დურო, შკელა, ჰასი, ბექირი, მურატი, მურტაი, ლალა, ტარე. შესვენების შემდეგ ბრიგელმა მეკარე სტრაკოშათი დაწყებული, კიდევ შვიდი ფეხბურთელი შეცვალა და უახლოესი რეზერვი გამოსცადა. შეცვლაზე შესულებმა კი მწვრთნელს არ უმტყუნეს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა 22 წლის დებიუტანტი თავდამსხმელი ედმონდ კაპლანი, რომელმაც თამაში რამდენჯერმე გაამწვავა, ბუშის საგოლე პასიც მისცა და თავადაც შეეძლო გოლის გატანა. საერთოდ, მთელი მატჩი ალბანეთის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრებს ერთიორი მომენტი თუ ჰქონდათ, მაგრამ მცველებმა კარში არ დაარტყმევინეს. მცველები ერთხელ შეცდნენ და ისიც გოლად დაუჯდათ, გუდიონსენმა ცხრიანში გაიტანა, თუმცა ათ წუთში ბუშიმაც იყოჩაღა და ალბანეთს მოაგებინა. მანამდე ალიაიმ დააწინაურა გუნდი. ალბანეთის ისლანდიასთან მოგება ერთი ფაქტითაცაა აღსანიშნავი — მთელი მატჩი თავსხმა წვიმა იყო და ასეთ ამინდში სტუმრებზე მეტად მასპინძლებს უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა პირიქით მოხდა.



იგლი ტარე — ალბანელების მოუღლელი ყოჩი

საქართველოს 15 ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი — 3 ტური

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## მცხეთა 1:1 ტორპედო

1:0 რაქვიაშვილი (74), 1:1 კოშკაძე (79)

| | |
|---|---|
| მცხეთა: ცინაძე, რაქვიაშვილი, ჩაჩუა, ჯაფარიძე, გვარუციძე (მგელაძე 29), კახნიაშვილი (ბ. ნოზაძე 66), ბესარაშვილი, ლ. ქებაძე, ლ. ჩხაიძე (თირქია 46), ხორავა, გ. თოდუა<br>*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; პ. ნოზაძე, ჟღენტი, ფურთუხია<br>მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე | ტორპედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, მახვილაძე, ს. თოდუა, მემარნიშვილი, ნერგაძე, კოშკაძე, ბაბუნაშვილი, ბოლქვაძე, ხუციშვილი, დავითაშვილი<br>*სათადარიგონი:* გ. გაბელია; მუმლაძე, ადუაშვილი, ლალაძე, გ. დარსაძე, ლ. ჭელიძე<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: თირქია (64)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე



ალექსანდრე კოშკაძის (№21) გოლმა „მცხეთას" ქულადა აცმარა

# ქარის მოტანილი

## გუნდებმა ქულები თანაბრად გაიყვეს. მცხეთას მეტი ერგო

**კახა შალამბერიძე**

**74-ე წუთი** იყო. ლაშა ქებაძემ ქუთაისელთა მარცხენა ფლანგზე ჩაიქროლა და ბურთი კარის გასწვრივ დაბალი ტრაექტორიით გაუშვა. პასი რაქვიაშვილმა „ჩაკეტა" და „მცხეთა" დაწინაურდა.

თამაშიც აქედან დაიწყო. მცხეთის „არმაზის" უხარისხო გაზონის გამო ვაკეში, „ლოკომოტივზე" შეყრილი გუნდები ცივმა ქარმა შეახურა და იქამდე უმომენტო თამაშმა მანამდელ დაძაბულობასთან ერთად სხარტი, ტემპიანი ბრძოლა შეიმატა.

მეტოქეები ძალიან კი ცდილობდნენ, დაცვაში ფრთხილად ეთამაშათ, მაგრამ თავდამსხმელები უფრო ყოჩაღად მოქმედებდნენ და სუსხიან ქარს საგოლე მომენტების წვიმაც მოჰყვა. ჰოდა, გაშვებული გოლიდან ხუთიოდ წუთში „ტორპედომ" გამთანაბრებელი გაიტანა — მახვილაძის შორეული მაღალი პასი მცხეთელებმა ვერ ჩაჭრეს, უპატიებელი შეცდომა დაუშვეს და მეკარესთან პირისპირ შეყრილმა კოშკაძემ შანსი არ გაუშვა — 1:1.

თამაშიც აქ დამთავრდაო, თქვეს სტადიონზე შეკრებილებმა, მაგრამ ნურას უკაცრავად — გატანილმა არც „ტორპედო" დააკმაყოფილა და, „მცხეთა" ხომ საერთოდ ვერ შეეგუა სამი ქულის ცხვირწინ აფცქვნას. სტუმართა მხსნელი ზვიად სტურუა გამოდგა, რომელმაც ბესარაშვილის ახლოდან დარტყმული გააუვნებლა. ბოლო წუთებზე კოლეგას ცინაძეც არ ჩამორჩა და ბოლქვაძის მოჭრილი კუთხურზე მოიგერია, რასაც მალე ხორავას მიერ გაცუდებული რეალური მომენტი მოჰყვა — ბურთმა მილიმეტრებში ჩაუქროლა „ტორპედოს" კარის ძელს.

ასეთი დახუნძლული გამოდგა „მცხეთა" — „ტორპედოს" მატჩის ბოლო 15-წუთეული. მანამდე კი თამაში ისეთივე უშფოთველი იყო, როგორიც ამინდი. ერთადერთი, რასაც გუნდებს ვერ დავუკარგავთ, მონდომება და ჟინიანი ბრძოლაა. ოღონდ საჯარიმოსგან მოშორებით.

მასპინძლები ყველანაირად ცდილობდნენ, ქუთათურთა მეგოლე სულიკო დავითაშვილი ამოეკეტათ და ამას მოედნის ცენტრში ხისტი თამაშით ახერხებდნენ კიდეც. საკმარისი იყო, „ტორპედოს" კაპიტან-გამთამაშებელ ბაბუნაშვილს ბურთი მიეღო, მყის ორი მცხეთელი „აჯდებოდა" ფეხზე. გაბელიამ შეგირდებს გამოსავალი ასწავლა და ბურთთან ზედმეტი კონტაქტი აუკრძალა, მაგრამ ამან წუნის პროცენტულობა გაზარდა და ხიფათის შექმნა ამდაც ჭირდა.

ალბათ, ზუსტად ამის გამო იყო, მეტოქეებმა შორიდან დარტყმებს რომ უხშირეს, თუმც მათგან დასამახსოვრებელი ორი გამოდგა — ჯერ გიორგი თოდუამ ოდნავ ააცილა „ტორპედოს" კარს, საპასუხოდ კი კოშკაძემ ვერ გატეხა მცხეთელთა მეკარე.

ამასობაში დროც გაილია და ის ამბებიც მოხდა, რაზეც უკვე მოგითხრეთ და რის გამოც ქარისგან გათოშილმა მაყურებელმა სტადიონი მსაჯის საფინალო სასტვენამდე ვერ დატოვა.

გუნდებმა თანაბარი რაოდენობის, მაგრამ არათანაბარი მნიშვნელობის ქულები გაიყვეს. „ტორპედოს" ხომ უმაღლეს ლიგაში დარჩენა, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს, აი, „მცხეთამ" კი საამისოდ კარგა მოზრდილი ნაბიჯი წადგა.



ამერელი რატი წინამძღვრიშვილის მოედანზე შესვლა და გოლი ერთი იყო

საქართველოს 15 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — მეორე წრე — 19 ტური

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 200 (ტევადობა 70 900)

## ამერი 1:1 თსუ

0:1 მალიჩავა (52პ), 1:1 წინამძღვრიშვილი (70)

| | |
|---|---|
| ამერი: ნადირაშვილი, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ხუბუა, განუგრავა, შონია, სილაგავა (წინამძღვრიშვილი 69), ვერემჩუკი, რუსია (გარუჩავა 82), ა. კაიდარაშვილი<br>მწვრთნელი: თამაზ კოსტავა | თსუ: ბედიაშვილი, მალიჩავა, ი. შენგელია, პ. დათუნაიშვილი, მელქაძე, სახოკია (გოგორიშვილი 90), ლემონჯავა, მეგრელიშვილი (მაკაროვი 88), ქუხილავა, ლ. კვარაცხელია, გ. დათუნაიშვილი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: გ. დათუნაიშვილი (14), ვერემჩუკი (23), მეგრელიშვილი (24), სახოკია (29), კედელაშვილი (72)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე; მ. მალაღურაძე

# ერთმა ტაიმმა ერთი ქულა იცის

**პაატა კვანტალიანი**

**გუშინ** „ამერმა" სატურნირო ცხრილის მეზობელ თსუ-ს ქულა გაუყო და ჩემპიონატის დამთავრებამდე თერთმეტი ტურით ადრე საგრძნობლად შეიმცირა უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი. ამერელებს საშინაო მატჩში ჰაერივით სჭირდებოდათ სტუდენტთა დამარცხება, რაკილა უახლოეს ორ ტურში სტუმრად თამაში უწევთ. ამის გათვალისწინებით საფიქრებელი იყო, რომ თამაზ კოსტავას გუნდი აგრესიულად დაუხვდებოდა მეტოქეს და თავიდანვე შეეცდებოდა უპირატესობის მოპოვებას, თუმც მსგავსი არაფერი მომხდარა. მასპინძელი ფრთხილი და არაორგანიზებული იყო მთელი პირველი ტაიმის მანძილზე. ამის მიზეზი ან უზუსტო ტაქტიკური გათვლა გახლდათ, ანაც ზოგიერთი ფეხბურთელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება თამაშისადმი. ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, წარმატების მეტი შანსი სტუდენტებს ჰქონდათ, მაგრამ დაცვაზე გაწყობილი ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი შეტევაში ფრთხილობდა. თსუ პირველ ლიგაში დასარჩენად იბრძვის და, ცხადია, ამბიციურ მეტოქესთან მატჩში ქულას ეშურებოდა, ამიტომაც ჰქონდათ სტუდენტებს პირველ ნახევარში ერთადერთი რეალური საგოლე შანსი ეს ეპიზოდი ტაიმის შუა მონაკვეთში იყო. პავლე დათუნაიშვილმა მოხდენილი პასით ამერელთა დაცვა გაჭრა და მალიჩავა მეკარეს შეატოვა. მასპინძელთა ბედად, ნადირაშვილმა იყოჩაღა და დასწრებაზე ივარგა. ამ მომენტს მოჰყვა ვერემჩუკის კუთხური და რუსიას თავური, მაგრამ სტუდენტთა მცველმა მეკარე დააზღვია. იქამდე „ამერს" კიდევ ჰქონდა ერთი შანსი: განუგრავას ფლანგური ჩაწოდებისას მცველმა კინაღამ ავტოგოლი გამოაცხო. მოკლედ, პირველმა ტაიმმა ეს სამიოდ ღირებული მომენტი დაიტია.

მეორე ნახევარი კი ხეირიანად გახურებული არ იყო, თსუ რომ დაწინაურდა. 51-ე წუთზე დავითნიძის უხეში შეცდომისას მალიჩავამ მახვილი კუთხიდან შეირბინა ამერელთა საჯარიმოში. მის გამჭოლ პასს თანაგუნდელთაგან არავინ გამოეხმაურა, მაგრამ ამერელებმა საპირისპირო ფლანგზეც ჩათვლიმეს, შეტევა გაგრძელდა და განუგრავასთან ჭიდილში პავლე დათუნაიშვილი წაიქცა. თერთმეტმეტრიანი საეჭვო ჩანდა, მაგრამ ბუიშვილს გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია და მალიჩავამაც უნაკლოდ შეასრულა პენალტი — 0:1.

აქედან მოყოლებული, „ამერის" თამაშში გარდატეხა მოხდა. ამაში თსუ-მაც დაიდო წილი. ანგარიშის შესანარჩუნებლად დაცვა უფრო გაამაგრა, ცენტრი მეტოქეს დაუთმო და ამერელებსაც კომბინირების მეტი საშუალება გაუჩნდათ. ანგარიშის გათანაბრებამდე ვერემჩუკმა ორჯერ სახიფათოდ ჩააწოდა კუთხური, ორჯერვე დავითნიძემ შეაგება ბურთს თავი, მაგრამ ორივე დარტყმა გაუცუდდა. მერე კი 69-ე წუთიც დადგა და სილაგავას ნაცვლად რატი წინამძღვრიშვილი შევიდა მოედანზე. იღბლიანი შეცვლა გამოდგა — რატიმ ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა — ამ ეპიზოდში შედეგიანად გაისარჯა რუსია: სიჩქარეაკრეფილმა მარჯვენა ფლანგზე ორი მეურვე ჩამოიტოვა და ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, იქ კი წინამძღვრიშვილს სწორი პოზიცია შეერჩია და მოხდენილი თავურით ანგარიში გაქვითა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 19 | 12 | 1 | 6 | 35:19 | 37 |
| სამგურალი | 19 | 10 | 5 | 4 | 25:12 | 35 |
| ოლიმპი | 19 | 10 | 5 | 4 | 28:17 | 35 |
| რუსთავი | 19 | 10 | 3 | 6 | 27:20 | 33 |
| ცხინვალი | 19 | 9 | 5 | 5 | 30:16 | 32 |
| დინამო 2 | 19 | 9 | 4 | 6 | 39:25 | 31 |
| მილანი | 19 | 9 | 4 | 6 | 22:14 | 31 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 19 | 7 | 8 | 4 | 20:11 | 29 |
| ამერი | 19 | 7 | 6 | 6 | 22:18 | 27 |
| ჩიხურა | 18 | 8 | 2 | 8 | 21:19 | 26 |
| თსუ | 19 | 7 | 5 | 7 | 31:20 | 26 |
| ივერია | 19 | 6 | 5 | 8 | 13:27 | 23 |
| გურია | 19 | 6 | 4 | 9 | 22:28 | 22 |
| ლოკომოტივი 2 | 19 | 6 | 1 | 12 | 14:36 | 19 |
| ლუკა | 18 | 4 | 1 | 13 | 14:36 | 13 |
| მეტალურგი | 19 | 1 | 1 | 17 | 9:54 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
**3 ტური**
ანონსი

*ამ ტურში „დინამო“ — „თბილისი“ უნდა დავცენტროთ — ივო შუშაკის გუნდმა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ჯერ თამაში ვერ მოიგო, ხოლო გიორგი დევდარიანის „თბილისი“ უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის, მაგრამ „დინამოსთან“ წარმატების შემთხვევაში უფრო გაამბიციურდება.*

*„დინამო“ ცალკეული მოთამაშეების კლასითაა ძლიერი, „თბილისი“ კი მოძრაობით და სისწრაფით — და თუ სხვას სხვა აზრი აქვს, „ეროვნულის“ ბულახ მინდორზე უნდა თქვას.*

*გუშინ მეტოქეებმა უკვე ტრადიციადქცეული პრესკონფერენციები გამართეს...*

# დერბი და ცოტა მეტიც

**შუშაკის** გუნდი „თბილისთან“ მატჩს შესუსტებული შემადგენლობით შეხვდება. ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ ზოიძე და ქოქიაშვილი. დისკვალიფიცირებულია სანდრო იაშვილი. ტრავმირებულმა ლადო ბურდულმა კი გუშინ პირველად ივარჯიშა ბურთით.

მატჩის ჩატარება ისევ არცთუ საუკეთესო საფარის მქონე „ეროვნულზე“ გადაწყდა. არადა, „თბილისმა“ მეტოქეს „ისანზე“ თამაში შესთავაზა. უარის მიზეზი „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა *დავით პეტრიაშვილმა* ასე ახსნა: „უკეთეს მინდორზე თამაშის წინააღმდეგი არც ჩვენ ვიყავით, პირიქით, გეხსომებათ, ივო შუშაკი ბოლო ხანს გუნდის თამაშის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად უვარგის მინდორს ასახელებდა. მატჩის „ისანზე“ ჩატარება „თბილისის“ ხელმძღვანელობამ მას შემდეგ შემოგვთავაზა, რაც ჩვენი მეორე გუნდებიც შეთანხმდნენ, უკეთესი საფარის მქონე „შევარდენის“ სტადიონზე ეთამაშათ. ჩვენ თანახმანი ვიყავით, მაგრამ გაჩნდა კითხვა, სად ვითამაშებდით მეორე წრეში. ეგებ ეროვნულზე საფარის ხარისხი არც შემდეგ გამოსწორდეს. ამიტომ ზედმეტი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტეთ, სტატუს-კვო არ დაგვერღვია და შეხვედრა ისევ „ეროვნულზე“ გამართულიყო“.

*ივო შუშაკმა* კი მომავალი მატჩის შესახებ ილაპარაკა:

— ეს შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. ერთი რომ, ქალაქური დერბია, მეორეც, ორი საინტერესო და ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი თამაშობს. ჩვენი ცუდი სტარტის შემდეგ ყველა შეხვედრა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. „თბილისში“ საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელია. გუნდმა ზამთრის შესვენება ნაყოფიერად გამოიყენა და გამოცდილი ფეხბურთელებითაც გაძლიერდა. მის ძალას სათანადო დაფასება სჭირდება.

ჩვენ უფერული სტარტი უნდა დავივიწყოთ და „თბილისთან“ კარგი თამაშით დავამტკიცოთ, რომ ძველი ამბიციებით ვიწყებთ მეორე ეტაპს. ჩავარდნასაც აქვს თავისი ლოგიკური ახსნა, გუნდი ხუთმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, სანაცვლოდ კი მხოლოდ ერთი მაღალი კლასის მოთამაშე დავიმატეთ. ასეც რომ არ ყოფილიყო და ხუთი წასული ასევე ხუთი მაღალი დონის მოთამაშით შეგვეცვალა, ეს გუნდის თამაშზე მაინც აისახებოდა. „დინამო“ ჯერაც თავისი თამაშის ძიებაშია. მიუხედავად ამისა, „თბილისთან“ ჩვენ საუკეთესო მატჩი უნდა ვითამაშოთ. ამის თქმის საფუძველს ის სამუშაო ატმოსფერო მაძლევს, რაც კლუბში სუფევს. ბიჭები სერიოზულად ემზადებიან ამ შეხვედრისთვის.

„ლოკომოტივთან“ ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა, მაგრამ თავდასხმამ გოლი ვერ გაიტანა. „სიონთან“ პირიქით მოხდა, ორი გატანილი გოლის მიუხედავად, მაინც წავაგეთ იმიტომ, რომ დაცვის თამაში არ იყო სასურველ დონეზე. მე არ ვარ ისეთი მწვრთნელი, რომელიც მარცხს ამა თუ იმ რგოლის სუსტ თამაშს გადააბრალებს. გუნდი ერთიანი ორგანიზმია და ერთიანად უნდა მოქმედებდეს.

იაშვილის არყოფნის გამო „თბილისთან“ ძირითადში იქნება მელქაძე. შემადგენლობის ხშირი ცვლა არ მიყვარს, ამიტომაც ძირეული ცვლილებები არ მოხდება.



ივო შუშაკი და დავით პეტრიაშვილი

ბოლოს, მინდა, საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს მივულოცო დადებითი შედეგი. კარგია სტუმრად არწაგება. მერწმუნეთ, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრები თავისი შემადგენლობით ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ გუნდის რამდენიმე წევრი ინტენსიურად ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. ამ თაობის რომ ეიმედებათ, გერმანელებმა იმიტომაც გადაწყვიტეს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჟირესს შემადგენლობასთან დაკავშირებითაც საკმაო პრობლემები ჰქონდა. მას საშუალება არ ჰქონდა, რაიმე კარდინალური ცვლილებები მოეხდინა. რაც შეეხება ნაკრებში დინამოელების თამაშს, ვიტყვი, რომ ისინი არც სხვებზე უარესები ყოფილან და არც უკეთესები. საერთო მონახაზში ნორმალურად ჩაჯდნენ. ალექსიძის და ახალაის შესვლამ კი ნაკრების შემტევი პოტენციალი საგრძნობლად გააძლიერა და, ფაქტობრივად, ორი გოლიც მას შემდეგ გავიდა.

**დავით ერაძე**



ამ ჩემპიონატში „დინამომ“ „თბილისი“ უკვე ორჯერ გაამწარა... ასე რომ, ბრძოლა იქნება

# ჩვენ ოროსნები არ ვართ

*გიორგი დევდარიანი, „თბილისის“ მთავარი მწვრთნელი:*

— მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ გუნდი სეზონის შუაში აღწევს პიკს და ამ დროისთვის ძნელია იმის პროგნოზირება, თუ შესაძლებლობების ზუსტად რამდენი პროცენტის წარმოჩენა შეუძლიათ „თბილისის“ ფეხბურთელებს. საქართველოს ჩემპიონატში უფრო სწორი ფეხბურთის თამაშის ხარჯზე გახვალ ფონს — აქ ისეთი ფეხბურთი არაა, როცა გუნდები მთელი 90 წუთი მაგრად დარბიან. ისე კი, ჩვენი ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციები დამაკმაყოფილებელია.

— როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ მატჩს თქვენთვის?

— ეს თამაში ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის გამოცდაა და არ გვინდა, რომ ამ გამოცდაზე ოროსანი მოსწავლეებივით წარვდგეთ. შანსებს კი 50/50-ზე ვაფასებ.

— რამდენიმე დღის წინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მატჩი თქვენს, „ისნის“ სტადიონზე გამართულიყო, რადგან იქ გაცილებით უკეთესი მინდორია, ვიდრე „ეროვნულზე“ — არ დათანხმდით ამ წინადადებას?

— პირიქით, ჩვენ როგორ არ დავთანხმდებოდით...

*ნიკა დოლიძე, „თბილისის“ პრეზიდენტი:*

— ასეთი ლაპარაკი ჩვენსა და „დინამოს“ წარმომადგენლებს შორის მართლაც იყო, მაგრამ გადაწყვეტილება მათ, „დინამოს“ მხარეს უნდა მიეღო.

— „დინამომ“ ჩემპიონატის მეორე ეტაპი ცუდად დაიწყო. „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშის სინდრომი მის მეტოქეებზე აღარ მოქმედებს?

*დევდარიანი:* ამ კონკრეტული მატჩისთვის ჩვენ არანაირი სინდრომით არ ვართ შეპყრობილნი. როცა შარშან ვთამაშობდით „დინამოსთან“, ჩვენს ფეხბურთელებში ზემონდომება და დაძაბულობა იგრძნობოდა, დღეს კი უკომპლექსონი ვართ.

*დოლიძე:* ეს ჩვენთვის ისეთივე რიგითი მატჩია, როგორიც ნებისმიერი — ჩვენ საბოლოო შედეგისთვის ვიბრძვით და არა აქცენტირებულად ერთი თამაშისთვის.

— „თბილისს“ „დინამოსთან“ წარმატების მიღწევა ძირითადად მოედნის ცენტრში სწრაფი თამაშით შეუძლია?

*დევდარიანი:* თამაშს იგებს ის, ვინც უფრო სწრაფად თამაშობს არა მარტო მოედნის ცენტრში, არამედ ფლანგებზეც.

**დავით თავართქილაძე**



ნიკა დოლიძე და გიორგი დევდარიანი

თბილისი. 3 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — თბილისი**

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 3 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

**ვიტ ჯორჯია — დილა**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. 3 აპრილი. 18 საათი. ლოკომოტივი

**ლოკომოტივი — სიონი**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ფოთი. 3 აპრილი. 16 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — სპარტაკი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ასკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ბათუმი. 3 აპრილი. 16 საათი. დინამო

**ბათუმი — მერცხალი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ეჯიბია

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 26 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 24 |
| თბილისი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 22 |
| დილა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 19 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 24 |
| ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 16 |
| მცხეთა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 15 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 14 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 8 |
| მერცხალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 6 |

# ტრაპს ტაკი არ უნდა







**„იუვენტუსის“** ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი, როგორც ჩანს, შეეგუა იმ ფაქტს, რომ ევროპის ჩემპიონატი მის გარეშე ჩატარდება. 28 წლის ეგრეთ წოდებული საყრდენი ბოლო რამდენიმე წელიწადია, სანაკრებო თამაშებში მონაწილეობდა, მაგრამ ამჯერად აშკარაა, რომ ჯოვანი ტრაპატონის მისი მიწვევა აღარ სურს.

„რამდენადაც ვხევავ, ტრაპატონის სხვა იდეები აქვს — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც არც ამ ოთხშაბათს მონაწილეობდა პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში — ასე რომ, ამიერიდან მთელ ყურადღებას „იუვენტუსის“ საქმეებზე მივმართავ და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ჩემმა კლუბმა სეზონი რაც შეიძლება კარგად დაასრულოს. თუ ამასობაში ნაკრებში გამომიძახებენ, ბუნებრივია, გამიხარდება, მაგრამ ამ წუთას ჩემთვის მთავარი „იუვენტუსია“.

შეგახსენებთ, რომ ჯოვანი ტრაპატონი ნახევარდაცვაში ათამაშებს სამონე პეროტას, ანდრეა პირლოს, ჯენარო გატუზოს და კრისტიანო ძანეტის. ნიშანდობლივია, რომ ძანეტიმ პორტუგალიაში ტრავმის გამო ვერ ითმაშა და მწვრთნელმა იგი... მასიმო ამბროზინით შეცვალა.

**პაპუნა ძედია**

# ჯობდა ჩუმად ყოფილიყო

## რომამ გადაითამაშა

**„რომამ“** იჩივლა, ჩემს სტადიონს ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია რატომ მიუსაჯესო და სასჯელის შემსუბუქების მაგივრად კიდევ ერთი თამაში მიიღო — ახლა იტალიის დედაქალაქის გუნდს ორი საშინაო მატჩის გამართვა მოუწევს ნეიტრალურ მოედანზე.

მოკლედ შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია სასჯელზე, რომელიც სადისციპლინო კომისიამ „რომას“ მისი ქომაგების მიერ დერბის ჩაშლის გამო დააკისრა. ეს 21 მარტს მოხდა, დერბის 48-ე წუთზე, როდესაც „რომას“ რამდენიმე ქომაგი მოედანზე ჩავიდა და ფეხბურთელებს თამაშის შეწყვეტა მოსთხოვა. მიზეზი ის იყო, რომ მათი მტკიცებით, სტადიონს გარეთ პოლიციის მანქანამ ბიჭი გაიტანა, რაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტყუილი ყოფილა. საბოლოოდ, თამაშიც ჩაიშალა და ტიფოზების კარაბინიერებთან რამდენიმესაათიანი შეტაკებაც დაიწყო.

გარდა ხსენებული დისკვალიფიკაციისა, ამ ინციდენტისთვის სადისციპლინო კომისიამ „რომას“ ფულადი ჯარიმაც დააკისრა, თუმცა კლუბს ჯერ კიდევ შეუძლია ფეხბურთის ასოციაციის სასამართლოში ეძიოს თავისი წილი სამართალი.

თუმცა, სანამ ეს სამართალი გაიჭრება, საფეხბურთო ლიგა თავს იზღვევს და იღებს გადაწყვეტილებას, რომ „რომასა“ და “კიევოს“ შეხვედრა პალერმოში ჩატარდება. სად გაიმართება „რომასა“ და „ემპოლის“ შეხვედრა, კიდევ მოსაფიქრებელია.

**პაპუნა ძედია**



„სტადიო ოლიმპიკოზე“ აგიზგიზებული ცეცხლი „რომას“ ძვირად დაუჯდა

# ვინ დარეკავს ვიერისთან?

## მიკოლიმ გოლი ტურინში გააგზავნა



კრისტიან ვიერი

**ფაბრიციო მიკოლიმ** დაიჟინა, ჩემი პირველი სანაკრებო გოლი შემთხვევითი არ ყოფილაო. შეგახსენებთ, თუმცა ამას რა შეხსენება უნდა, რომ იუვენტუსელმა ოთხშაბათს პორტუგალიასთან შეხვედრაში კუთხური ისე უცნაურად ჩააწოდა, რომ ბურთი ერთი დახტომა მეკარის და მცველის სიახლოვეს თითქოს კი დახტა, მაგრამ შემდეგ კარში შეტრიალდა.

„გოლის გატანა მინდოდა. ასე დარტყმა კი რობერტო ბაჯოსგან ვისწავლე. ერთხელ ვნახე, როგორ გაუტანა ბაჯომ „ლეჩეს“ სწორედ ასეთი გოლი. ძნელია აგიხსნათ, როგორ მიხარია გოლი რომ შევაგდე. ძალიან კმაყოფილი ვარ“ — თქვა თავდამსხმელმა.

აღსანიშნავია, რომ მიკოლის მხოლოდ თაყვანისმცემლები კი არ ჰყავს, კრიტიკოსებიც მრავლად მოეძებნება და პორტუგალიაში, მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა, ამ გოლით, როგორც ჩანს, უპირველესად სწორედ კრიტიკოსებს გასცა პასუხი.

„გოლს ჩემს გოგონას ვუძღვნი, თუმცა არის ბევრი ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ზაფხულს „იუვენტუსი“ თავიდან მომიცილებს. მინდა ეს გოლი მათაც ვუძღვნა“ — განაცხადა მიკოლიმ.

ხოლო „სკუადრა აძურას“ მეორე (უფრო სწორედ პირველი) გოლის ავტორი კრისტიან ვიერი ნაკრების შემადგენლობაში შეყრილი გოლების რაოდენობით (21) ახლო მეგობარს, ფილიპო ინძაგის გაუტოლდა.

„მგონი პიპო დღეს დამირეკავს — გაიცანი ვიერიმ — ისე კი, მნიშვნელოვანი გოლი გამოდგა, რადგან სასარგებლო იყო, ევრო 2004-ის წინ სწორ განწყობაზე დაგვაყენა“.

როგორც ამბობენ, იტალიელთა ერთადერთი იმედგაცრუება ამ შეხვედრაში ფრანჩესკო ტოტის უსახური თამაში ყოფილა.

„მე გუნდის თამაში უფრო მაინტერესებს, ვიდრე ჩემი“ — თავი იმართლა „რომას“ კაპიტანმა.

**პაპუნა ძედია**



ფაბრიციო მიკოლიმ პორტუგალიასთან გატანილი გოლით დაიტრაბახა

# უცხვირპირო შევჩენკო

**„მილანის“** სუპერფორვარდი ანდრეი შევჩენკო უკრაინელმა ჟურნალისტებმა და ქომაგებმა მაკედონიასთან ნამატჩევს რომ გაკენწლეს და არაპატრიოტიზმში დასდეს ბრალი, გუშინდელი „სარბიელიდანაც“ გეცოდინებათ.

მოკლედ, ტუჩგახეთქილ და ცხვირდაზიანებულ „შევას“ გუშინ იტალიელ ჟურნალისტებთან მოუხდა თავის მართლება, რასაც მაბრალებენ, ეგრე ნამდვილად არააო.

შევჩენკომ თქვა: „ჩემ საქციელს არანაირად ვამართლებ, მოედანი თვითნებურად არ უნდა დამეტოვებინა, მაგრამ იმ წუთას რას ჩავდიოდი, ვერ ვაცნობიერებდი. ჯერ ერთი, ტუჩი გამიხეთქეს, წინა ორი კბილი ახლაც მოყანყალებული მაქვს და ვაღიარებ, გავმწარდი. მეორეც, ვაგებდით, უსუსურად ვთამაშობდით და ამანაც იმოქმედა. ჩვენი გუნდის მწვრთნელ ოლეგ ბლოხინისთვის მითქვამს, რაც გინდათ ქენით, მეორე ტაიმს არ ვითამაშებ-მეთქი. ბლოხინს და მთელს უკრაინას ბოდიშს ვუხდი, მაგრამ გამიგეთ, მაშინ ძალიან გამწარებული ვიყავი“.

შევჩენკოს „მილანის“ ექიმმა ცხვირიც შეუმოწმა, მაკედონიელმა მეტოქემ სახეში იდაყვი რომ მაგრად მოგარტყა, ეგეც ხომ არ დაგიზიანაო. უკრაინელის საბედნიეროდ, ორჯერ ნაოპერაციევ ცხვირს, არაფერი მოსვლია.

სამაგიეროდ, კარლო ანჩელოტიმ, „მილანის“ მწვრთნელმა, ანდრეი ორი დღით ვარჯიშებისგან გაათავისუფლა. გადაღლილი ხარ, დასვენება გჭირდება და „მოდენასთან“ საკვირაო მატჩისთვის სათადარიგოთა სკამზე ჩამოჯდები, მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებ, თუ დაგვჭირდებიო.

**გიორგი ვაშაძიძე**



# იტალია

პაპუნა კედია

# დარბილებული დერბი

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | — | ბრეშა |
| ინტერი | — | იუვენტუსი |
| მოდენა | — | მილანი |
| კიევო | — | პარმა |
| ემპოლი | — | პერუჯა |
| ბოლონია | — | რეჯინა |
| ლეჩე | — | რომა |
| ანკონა | — | სამპდორია |
| ლაციო | — | სიენა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 27 | 21 | 5 | 1 | 55:18 | 68 |
| იუვენტუსი | 27 | 18 | 5 | 4 | 54:31 | 59 |
| რომა | 26 | 17 | 6 | 3 | 56:13 | 57 |
| ლაციო | 26 | 13 | 5 | 8 | 38:28 | 44 |
| პარმა | 27 | 12 | 8 | 7 | 42:37 | 44 |
| ინტერი | 27 | 12 | 7 | 8 | 44:27 | 43 |
| უდინეზე | 27 | 10 | 9 | 8 | 31:29 | 39 |
| სამპდორია | 27 | 9 | 11 | 7 | 35:34 | 38 |
| ბოლონია | 27 | 9 | 7 | 11 | 34:38 | 34 |
| კიევო | 27 | 8 | 9 | 10 | 28:30 | 33 |
| ბრეშა | 27 | 7 | 10 | 10 | 42:46 | 31 |
| სიენა | 27 | 7 | 9 | 11 | 33:39 | 30 |
| ლეჩე | 27 | 7 | 7 | 13 | 31:43 | 28 |
| რეჯინა | 27 | 5 | 12 | 10 | 22:37 | 27 |
| მოდენა | 27 | 5 | 10 | 12 | 23:37 | 25 |
| ემპოლი | 27 | 5 | 8 | 14 | 19:44 | 23 |
| პერუჯა | 27 | 3 | 13 | 11 | 34:47 | 22 |
| ანკონა | 27 | 0 | 7 | 20 | 13:56 | 7 |



ალბერტო ძაკერონი

ოჰო, წესით რა თამაში უნდა იყოს... „სან სიროზე" „ინტერი" „იუვენტუსს" მასპინძლობს და ამას თავისი სახელი, „იტალიის დერბი" ჰქვია, მაგრამ ვაგლახ, ამ სეზონში „ინტერი" ხომ „ინტერი" არ არის და არც „იუვენტუსია" მთლად „იუვენტუსი".

ისე, იქნებ მიგავიწყდათ და ამ სეზონში „იტალიის დერბი" უკვე სამჯერ ვნახეთ. ორჯერ იგი 2:2 დასრულდა, ხოლო ერთხელ, თან ტურინში, „ინტერმა" 3:1 მოიგო. ფრედ დასრულებული შეხვედრები იტალიის თასის მეოთხედფინალის გახლდათ, ხოლო 3:1 „დელე ალპიზე" ძაკერონიმ თავის სადებიუტო მატჩში გაახერხა — მოგეხსენებათ, ამ სეზონში ძაკერონამდე „შავ-ლურჯებს" სათავეში ექტორ რაულ კუპერი ედგა. სხვათა შორის, მაშინ ძაკერონიმ ამ მოგებას ზედ კიდევ ექვსი მიაყოლა და ყველას ეგონა, რომ ამით „ინტერის" უიღბლო პერიოდი დასრულდა, მაგრამ შემდეგ იღბალმა ზურგი აქცია.

და მაინც, ბოლო ხანს, „შავ-ლურჯები" უკეთ ათამაშდნენ, რასაც ურუგვაელი ალვარო რეკობას გამოჯანმრთელებითა და ფორმის აღდგენით ხსნიან. სერია A-ში „ინტერმა" ზედიზედ ორი თამაში მოიგო „ანკონასა" და „რეჯინასთან", რასაც უეფას თასზე „ბენფიკას" 4:3 ძლევაც დაამატა, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, „იუვენტუსის" დასამარცხებლად ალბერტო ძაკერონის გუნდის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა სჭირდება. რაც შეეხება ტრავმების კრიზისს, იგი მაინც გრძელდება. საეჭვოა კრისტიანო ძანეტის, მატიას ალმეიდას და გიორგიოს კარაგუნის საქმე, მარკო მატერაცის კი დისკვალიფიკაციის ორთვიანი ვადა გაუდის.

ტრავმების კრიზისი გრძელდება „იუვენტუსშიც". დაშავებულნი არიან ალესანდრო დელ პიერო, ჩირო ფერარა და ნიკოლა ლეგროტალიე, თუმცა ჯანლუკა ძამბროტა, დავიდ ტრეზეგე და ალესანდრო ბირინდელი თანდათანობით სრულყოფილ ფორმას უბრუნდებიან. „ბებერი ქალბატონის" რიგებში წლეულს ახალი ანგარიშგასაწევი ძალა გამოჩნდა, ენცო მარესკა, რომელსაც, ალბათ, „შავ-ლურჯებიც" საგანგებო ყურადღებას მიაქცევენ.

ხოლო ლიდერი, „მილანი", ამასობაში მოდენაში მიემგზავრება და მიუხედავად ერთი კვირის წინ, „კიევოსთან" დაკარგული ორი ქულისა, სავარაუდოდ, მოიგებს.

არ არის გამორიცხული, კარლო ანჩელოტიმ შემადგენლობაში რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალოს. კერძოდ, ის ალბათ, დაასვენებს კაკას, რომელიც ბრაზილიის ნაკრებში იყო გამოძახებული და საამისოდ იმხელა ოკეანეს გადაუფრინ-გადმოუფრინა. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ კვირის შუაში „მილანს" ლა კორუნიაში აქვს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრა ჩასატარებელი. ერთი სიტყვით, კაკას ნაცვლად პორტუგალიელმა რუი კოშტამ უნდა ითამაშოს. წინა ტურში, „კიევოსთან", ანდრეი შევჩენკოც თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ხვალ კი იმ დღევანდელისგან განსხვავებით სასტარტოში უნდა ველოდოთ. და კიდევ, თუ ალესანდრო ნესტამ გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, დაცვის ცენტრში ბილი კოსტაკურტა დადგება.

და „რომა" ლეჩეში თამაშობს. გახსოვთ, რა ჰქნა „რომამ" წინა ტურში? სწორედ იმ დღეს, როდესაც „მილანი" „კიევოსთან" ორ ქულას ჰკარგავდა, ანუ ფაბიო კაპელოს გუნდს ლიდერთან სხვაობის შემცირება შეეძლო, შინ (!) „ბოლონიასთან" 1:2 წააგო.

ლეჩეში „რომას" წესით უფრო უნდა გაუადვილდეს. ჯერ ერთი, „რომაა" და ამდენ ხანს გონს მოეგებოდა და მეორეც, „ლეჩეს" მთავარი ძალა, ერნესტო ჩევანტონი არ ეყოლება, დისკვალიფიცირებულია.

ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილისთვის მებრძოლი „ლაციო" კი „სიენას" უმასპინძლებს. სავარაუდოდ, „ლაციო" (რომელსაც თამაში აკლდა) „სიენასთვის" მეტისმეტად ძლიერი უნდა გამოდგეს. თან სტეფანო ფიორე კარგ ფორმაშია, ხოლო მის მხარდამხარ არცთუ ჯაბანი ფაბიო ლივერანი და დემეტრიო ალბერტინი იქნებიან. დისკვალიფიცირებულია ჯულიანო ჯანიკედა.

რობერტო მანჩინი თავდასხმაში, ალბათ, ასეთ ტრიოს — კლაუდიო ლოპესს, რობერტო მუცის და ბერნანდო კორადის ათამაშებს.

# ინგლისი

კოტე კაკალია



„ტოტენჰემს" ჩეხეთთან დაშავებული ირლანდიელი გარი დოჰერტი დააკლდება

# უთავო ინგლისი

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ფულემი | — | ბირმინგემი |
| მანჩესტერი | — | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | — | ბოლტონი |
| ნიუკასლი | — | ევერტონი |
| პორტსმუთი | — | არსენალი |
| ტოტენჰემი | — | ჩელსი |
| ვულვზი | — | საუთჰემპტონი |
| **ხვალ** | | |
| ასტონ ვილა | — | სიტი |
| ლივერპული | — | ბლექბერნი |
| **ზეგ** | | |
| ლიდსი | — | ლესტერი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 30 | 22 | 8 | 0 | 58:20 | 74 |
| ჩელსი | 30 | 21 | 4 | 5 | 57:23 | 67 |
| მანჩესტერი | 30 | 19 | 5 | 6 | 56:30 | 62 |
| ლივერპული | 30 | 12 | 10 | 8 | 42:31 | 46 |
| ნიუკასლი | 30 | 11 | 12 | 7 | 41:31 | 45 |
| ბირმინგემი | 30 | 12 | 9 | 9 | 37:36 | 45 |
| ასტონ ვილა | 30 | 12 | 7 | 11 | 38:35 | 43 |
| ჩარლტონი | 30 | 12 | 7 | 11 | 41:39 | 43 |
| ფულემი | 30 | 11 | 7 | 12 | 41:40 | 40 |
| საუთჰემპტონი | 30 | 10 | 9 | 11 | 30:28 | 39 |
| მიდლსბრო | 30 | 10 | 8 | 12 | 35:39 | 38 |
| ტოტენჰემი | 30 | 11 | 4 | 15 | 40:47 | 37 |
| ბოლტონი | 30 | 9 | 10 | 11 | 34:46 | 37 |
| ევერტონი | 30 | 8 | 10 | 12 | 36:41 | 34 |
| სიტი | 30 | 7 | 10 | 13 | 41:42 | 31 |
| ბლექბერნი | 30 | 8 | 7 | 15 | 42:48 | 31 |
| პორტსმუთი | 30 | 8 | 6 | 16 | 32:45 | 30 |
| ლესტერი | 30 | 5 | 13 | 12 | 39:52 | 28 |
| ლიდსი | 30 | 6 | 7 | 17 | 29:60 | 25 |
| ვულვზი | 30 | 5 | 9 | 16 | 26:62 | 24 |

ამ უქმეებზე ინგლისურ პრემიერლიგაში ოდენ რვა მატჩი გაიმართება. ორი თამაშის გადადების მიზეზი კი ლიგის თანაგუნდელების, „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" სათასო ორთაბრძოლაა. ამათი ბრძოლა, ცხადია, დიდი ამბავია, მაგრამ პრემიერლიგის ტურს მათი გამოკლება, ასევე ცხადია, რომ ინტერესს აკლებს.

წინა ტურში „ჩელსიმ" „არსენალთან" ცხრაქულიანი ჩამორჩენა შვიდ ქულამდე შეამცირა, ახლა კი, ვინაიდან „არსენალი" თამაშს ტოვებს, ჩელსელებმა ჩამორჩენა, თუნდაც დროებით, ეგებ ოთხ ქულამდე შეამცირონ. ამ მიზნის ასასრულებლად „ჩელსის" ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემის" დამარცხება მართებს.

„ტოტენჰემს" ირლანდიელი მცველები, სტივენ კარი და გარი დოჰერტი გამოაკლდება. პირველი მუხლს იტკივებს, მეორე კი კოჭს. ორივენი შუა კვირაში ჩეხებთან ამხანაგური მატჩისას დაშავდნენ.

„ჩელსის" მრავალეროვნულ გუნდს კი სანაკრებო მატჩებიდან ყველა ჯანმრთელად დაუბრუნდა, თუმცა ეგაა, რომ არგენტინის ნაკრების გამარჯვების გამომჭედ ერნან კრესპოს კლუდიო რანიერი ალბათ დაასვენებს. დავძინოთ, რომ „ტოტენჰემს" „ჩელსი" ლიგაში მთელი 14 წელია, ვერ დაუმარცხებია.

ოთხეულში ფეხის მყარად მოკიდების მოსურნე „ლივერპული" მაიკლ ოუენის გამოჯანმრთელების მოლოდინშია, რაც შესაძლოა, ხვალვე, „ბლექბერნთან" საშინაო მატჩის წინ მოხდეს. ხოლო ოუენი თუ ვერ მომჯობინდა, ლივერპულელებს შეტევაში მილან ბაროში და ემილ ჰესკი ეყოლებათ.

„ბლექბერნმა" თავისი ერთადერთი პრემიერლიგის ჩემპიონობა 1995 წელს სწორედ „ენფილდზე" მატჩის მერე მოიპოვა, მაგრამ დრო უმოწყალოდ გარბის და დღეს ბლექბერნელები ოდენ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან. გასავარდნ ზონას კი ისინი სულ რაღაც სამი ქულით არიან აცილებულნი. ხვალ „ბლექბერნს" ალბათ ჭაბუკი ფორვარდი პოლ გალაჰერიც ვერ დაეხმარება.

წინა ტურში „ბოლტონთან" დამარცხებამ „ნიუკასლ იუნაიტედი" ოთხეულს მიღმა დატოვა და სხვა გზა აღარ დაუტოვა — „ევერტონი" აუცილებლად უნდა დაამარცხოს. „კაჭკაჭებს" სავარაუდოდ, კირონ დაიერიც შეემატებათ, ვინაც ტრავმა მოიშუშა და შუა კვირაში სარეზერვო გუნდშიც ითამაშა.

„ევერტონს" კი გვარიანი პრობლემები დაუგროვდა — თავდასხმაში არც უეინ რუნი ეყოლება და არც შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი. ორივე დისკვალიფიცირებულია, აი, კევინ კემპბელი კი თამაშს ზურგის ტრავმის გამო გამოტოვებს.

უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „ფულემი" და „ბირმინგემი" ლონდონში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

მასპინძლებს, რაც „მანჩესტერს" ლუი საჰა მიჰყიდეს, საქმეები ცუდად მისდით, რისი დასტურიც ბოლო ოთხ თამაშში მხოლოდ ერთი მოგებაა. ბირმინგემელთა ბანაკში კი სიახლე ის არის, რომ უელსელმა ნახევარმცველმა რობი სევიჯმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და საბრძოლველად მზადაა.

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# ბეკენბაუერის თვალში ბალაკი გაორდა

**XXVII ტური**

| დღეს | | |
|---|---|---|
| მიუნხენი | — | ჰანოვერი |
| კიოლნი | — | აინტრახტი |
| ვოლფსბურგი | — | შტუტგარტი |
| ჰერტა | — | ჰანზა |
| გლადბახი | — | ლევერკუზენი |
| ლაუტერნი | — | ბაიერნი |
| შალკე | — | ჰამბურგი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | — | ფრაიბურგი |
| დორტმუნდი | — | ბოხუმი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 26 | 19 | 5 | 2 | 65:27 | 62 |
| ბაიერნი | 26 | 15 | 8 | 3 | 59:29 | 53 |
| შტუტგარტი | 26 | 13 | 9 | 4 | 37:16 | 48 |
| ლევერკუზენი | 26 | 13 | 6 | 7 | 50:34 | 45 |
| ბოხუმი | 26 | 11 | 9 | 6 | 41:29 | 42 |
| შალკე | 26 | 10 | 10 | 6 | 33:29 | 40 |
| დორტმუნდი | 26 | 11 | 6 | 9 | 41:35 | 39 |
| ჰამბურგი | 26 | 10 | 6 | 10 | 36:43 | 36 |
| ჰანზა | 26 | 9 | 7 | 10 | 41:38 | 34 |
| ფრაიბურგი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:52 | 33 |
| ვოლფსბურგი | 26 | 10 | 1 | 15 | 45:51 | 31 |
| მიუნხენი | 26 | 8 | 6 | 12 | 28:38 | 30 |
| ლაუტერნი | 26 | 9 | 4 | 13 | 29:40 | 28 |
| გლადბახი | 26 | 7 | 6 | 13 | 29:39 | 27 |
| აინტრახტი | 26 | 7 | 5 | 14 | 28:39 | 26 |
| ჰანოვერი | 26 | 6 | 8 | 12 | 41:55 | 26 |
| ჰერტა | 26 | 5 | 9 | 12 | 26:50 | 24 |
| კიოლნი | 26 | 4 | 5 | 17 | 21:43 | 17 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

ბელგიასთან მატჩის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერი ნასიამოვნებიც იყო და ნაწყენიც. „დიდი ხანია, მიხაელ ბალაკს გუნდში ისე კარგად არ უთამაშია, როგორც ბელგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ნაკრებისთვის ითამაშა" — თქვა მან.

მიუნხენის „ბაიერნი" კაიზერსლაუტერნს ესტუმრება და ოტმარ ჰიცფელდს ბალაკის ეიმედება. „ბაიერნსა" და „ვერდერს" შორის სხვაობა კვლავ შემცირდა. ბუნდესლიგის დასრულებამდე რვა ტური დარჩა და მიუნხენელებს ჩემპიონობის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვთ.

„კაიზერსლაუტერნისთვის" საკმაოდ საგრძნობი დანაკლისია მიროსლავ კლოზე. იგი „ჰამბურგთან" მატჩში დაშავდა და დღეს გუნდს ვერ დაეხმარება.

ბრემენის „ვერდერს" ტრავმირებული არავინ ჰყავს. „მუსიკოსები" შესანიშნავად თამაშობენ, ბევრიც გააქვთ და „ფრაიბურგს" გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს ლიდერთან გასამკლავებლად.

„შტუტგარტი" კი ვოლფსბურგს ეწვევა. ცხრილში „მგლების" ქვევით დაშვებამ გუნდის მწვრთნელ იურგენ რიობერს წყალი შეუყენა. მასპინძლებს არგენტინელი ფორვარდი ფერნანდო ბაიანო არ ეყოლებათ, „შტუტგარტს" კი ნახევარმცველი ანდრეას ჰინკელი.

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ლევერკუზენის „ბაიერისთვის" ბოლოს 1989 წელს მოუგია. გლადბახელებს ტრადიციის დარღვევა სწადიათ, მაგრამ კარგად ათამაშებულ „ფარმაცევტებთან" გამარჯვება იოლი არ იქნება.

ლევერკუზენელებს ტრავმამოშუშებული ილდირაი ბაშთურქი დაუბრუნდებათ, რომელიც თურქეთის ნაკრებს ზაგრებშიც არ ახლდა.

დორტმუნდს „ბოხუმი" საბრძოლო შემადგენლობით ეწვევა, მასპინძლებს კი კვლავ არ ეყოლებათ ტომაშ როსიცკი, რომლის გარეშეც გუნდს შეტევაში აშკარად უჭირს. ისიც ვთქვათ, რომ „ბორუსიამ" მოჯანყე მარსიო ამოროზოსთან კონტრაქტი ცალმხრივად გაწყვიტა და ბრაზილიელი „შავ-ყვითელ" მაისურას დაშორდა.

გელზენკირხენში „შალკეს" და მის მეტოქე „ჰამბურგს" მთავარმეკარეები დააკლდებათ. ფრანკ როსტი და მარტინ პიკენჰაგენი ჯერჯერობით მკურნალობენ.

ბერლინის „ჰერტას" ბუნდესლიგაში დარჩენა თუ სურს, დღეს სამი ქულა უნდა მიითვალოს. დედაქალაქელების ნახევარმცველი დიკ ვან ბურიკი ტრავმირებულია. მცველი იოსიპ სიმუნიჩი და ფორვარდი ნანდო რაფაელი დისკვალიფიცირებულნი არიან.

„ჰანოვერში" ევალდ ლინენის დანიშვნის დღიდან სამი ტური გავიდა, მაგრამ ახალი მწვრთნელის ხელში გუნდს ჯერ არ მოუგია. ნავსის გატეხვას სტუმრები „მიუნხენ 1860"-თან შეეცდებიან, თუმც „ლომებსაც" არ სძინავთ.



მიხაელ ბალაკი

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ



ყოფილი ბარსელონელი ხოსე მანუელ რეინა დღეს „ბარსელონას" გოლის გატანაში ხელს შეუშლის

„ბარსელონამ" სევილიური თავსხმის გამო ზედიზედ მე-10 გამარჯვება ვერ მოახერხა, ფრანკ რაიკარდის ბიჭებ სასახელო ათეულის შევსებას „კამპ ნოუზე", ერთგულ ინჩასთა წინაშე შეეცდებიან. „ვილიარეალის" რამდენიმე ფეხბურთელისთვის კი ეს შეხვედრა მართლაც განსაკუთრებული იქნება — რიკელმე, რეინა და სონი ანდერსონი ყოფილი ბარსელონელები არიან.

„ვილიარეალის" თავის ტკივილი ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტია. „ბარსას" ფორვარდს კასტილიელებმა „ლა ბესტია ნეგრა" შეარქვეს, რაც ჩვენებურად „შავ ეშმაკს" ნიშნავს. 5 წლის განმავლობაში, რაც „ვილიარეალი" პრიმერადივიზიონში თამაშობს, პატრიკმა მადრიდელებს 7 გოლი გაუტანა. კლუივერტს 29 იანვარს კოპა დელ რეის მეოთხედფინალში მიღებული ტრავმა აღარ აწუხებს და დღეს ითამაშებს.

ითამაშებს და გოლის გატანას შეეცდება ოდინდელი ბარსელი სონი ანდერსონი. ბრაზილიელი ერთ სეზონში შეგდებული გოლებით „ვილიარეალის" რეკორდსმენია. სონიმ მეტოქის მეკარეები 17-ჯერ შეაგზავნა კარში ბურთის მოსაძებნად. მიუხედავად ამისა, „ვილიარეალს" 2004-ის ყველაზე უიღბლო სტუმარი გუნდის სახელი აქვს — კასტილიელებმა 6 გასვლით შეხვედრაში ქულითაც ვერ იხეირებს.

ნათქვამია, კაპიტანი ჩასაძირად განწირულ გემს ბოლოს ტოვებსო, მაგრამ ვიგოს „სელტაში" ეტყობა, ყველაფერი პირიქითაა ან კიდევ ამ სიტყვებისა სჯერათ — ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ. იმის თქმა გვინდა, რომ წინა ორშაბათს სერბი რადომირ ანტიჩი გალისიური გუნდის დამრიგებლობას გამოეშვიდობა. „ბალაიდოსზე" ვერც სერბმა მოახერხა რაიმე ფასეულის გაკეთება, ისევე როგორც მისმა წინამორბედმა მიგელ ანხელ ლოტინამ. ხვალ პრიმერადივიზიონის ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფი „სელტა" დროებითი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „სან მამესზე" „ბილბაოს" უნდა შეერკინოს. ერნესტე ბალბერდეს მოწაფეებს 3 ქულა ჰაერივით სჭირდებათ — ბასკები უეფაზე მოსახვედრ სანუკვარ პოზიციებს ნელ-ნელა შორდებიან.

„კარლოს ბელმონტეს" პროვინციულ სარბიელს კი „გალაქტიკური" „რეალის" მოწყალე შუქი გაანათებს. კარლუშ კეიროშს „ალბასეტესთან" ომში არ ეყოლება ივან ელგერა, მაგრამ, სამაგიეროდ, იბურთავებენ ტრავმამორჩენილი მეგავარსკვლავები — დევიდ ბექემი და ზინედინ ზიდანი. ადგილობრივებს კი ვერ დაეხმარება ლავიწდაშავებული არანდა, ვისაც ორი კვირით მოუწევს ფეხბურთთან დამშვიდობება. პრიმერას მეორე ლიდერი „ვალენსია" კი ხვალ წყალწაღებულ „მურსიას" დაუხვდება.

**XXXI ტური**

| დღეს | | |
|---|---|---|
| ალბასეტე | — | რეალი |
| სევილია | — | ესპანიოლი |
| ბარსელონა | — | ვილიარეალი |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | — | სელტა |
| ატლეტიკო | — | ვალიადოლიდი |
| დეპორტივო | — | ბეტისი |
| ვალენსია | — | მურსია |
| სარაგოსა | — | რასინგი |
| მალიორკა | — | სოსიედადი |
| ოსასუნა | — | მალაგა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 30 | 19 | 7 | 4 | 62:35 | 64 |
| ვალენსია | 30 | 19 | 6 | 5 | 60:21 | 63 |
| დეპორტივო | 30 | 17 | 5 | 8 | 48:28 | 56 |
| ბარსელონა | 29 | 16 | 7 | 6 | 48:32 | 55 |
| ატლეტიკო | 30 | 12 | 9 | 9 | 36:35 | 45 |
| ოსასუნა | 30 | 10 | 14 | 6 | 31:26 | 44 |
| ბილბაო | 30 | 12 | 8 | 10 | 40:39 | 44 |
| მალაგა | 30 | 13 | 3 | 14 | 40:43 | 42 |
| ვილიარეალი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:40 | 40 |
| ბეტისი | 29 | 9 | 11 | 9 | 36:32 | 38 |
| სევილია | 30 | 10 | 8 | 12 | 39:36 | 38 |
| რასინგი | 30 | 10 | 8 | 12 | 39:47 | 38 |
| სარაგოსა | 30 | 10 | 7 | 13 | 34:39 | 37 |
| ვალიადოლიდი | 30 | 9 | 9 | 12 | 36:42 | 36 |
| ალბასეტე | 30 | 10 | 6 | 14 | 30:37 | 36 |
| სოსიედადი | 30 | 9 | 8 | 13 | 34:42 | 35 |
| მალიორკა | 30 | 9 | 5 | 16 | 36:56 | 32 |
| ესპანიოლი | 30 | 9 | 3 | 18 | 34:52 | 30 |
| სელტა | 30 | 6 | 10 | 14 | 40:59 | 28 |
| მურსია | 30 | 3 | 11 | 16 | 25:46 | 20 |

## ინგლისი. ასოციაციის თასი. ნახევარფინალი

მანჩესტერი — არსენალი

# კიდევ ერთი ომი

## კინი არსენალმა გამოაფხიზლა



არსენ ვენგერი



ალექს ფერგიუსონი

**დღეს**, 3 აპრილს, ბირმინგემის „ვილა პარკზე“, ზუსტად შუადღისას, ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდებიან „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, ამჯერად ასოციაციის თასის ნახევარფინალში.

მსაჯი გრემ ბარბერი იქნება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დრო და პენალტები იქნება. მოსალოდნელია ძალიან მძაფრი და დაუნდობელი თამაში. ისე ჩანს, რომ წლეულს „არსენალმა“ ჩემპიონობა აართვა „მანჩესტერს“ და იბრძვის იმისთვის, რომ ამ გუნდის 1999 წლის მიღწევა გაიმეოროს — ჩემპიონიც გახდეს, ქვეყნის თასიც მოიგოს და ევროპის თასიც მოიპოვოს.

| 5419 | ბოლონია-რეჯინა | 1,6 | 2,4 |
| 5420 | კიევო-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 5421 | ემპოლი-პერუჯა | 1,8 | 2,0 |
| 5422 | ლაციო-სიენა | 1,25 | 3,7 |
| 5423 | ლეჩე-რომა | 2,2 | 1,7 |
| 5424 | მოდენა-მილანი | 2,6 | 1,5 |
| 5425 | უდინეზე-ბრეშა | 1,7 | 2,2 |
| 5426 | ინტერი-იუვენტუსი | 1,85 | 1,95 |
| 5427 | სევილია-ესპანიოლი | 1,7 | 2,2 |
| 5428 | ალბასეტე-რეალი | 2,4 | 1,6 |
| 5429 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,3 | 3,4 |
| 5430 | ოსასუნა-მალაგა | 1,7 | 2,2 |
| 5431 | ბილბაო-სელტა | 1,6 | 2,4 |
| 5432 | სარაგოსა-რასინგი | 1,75 | 2,1 |
| 5433 | მალიორკა-სოსიედადი | 1,85 | 1,95 |
| 5434 | დეპორტივო-ბეტისი | 1,4 | 3,0 |
| 5435 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1,5 | 2,6 |
| 5436 | ვალენსია-მურსია | 1,1 | 5,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ფულემი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | მიდლსბრო-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ნიუკასლი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ტოტენჰემი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ვულვზი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ასტონ ვილა-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ლივერპული-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ლიდსი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | ჰერტა-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | გლადბახი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ლაუტერნი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | შალკე-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | მიუნხენი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | კიოლნი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ვერდერი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | დორტმუნდი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ანკონა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბოლონია-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | კიევო-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ემპოლი-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ლაციო-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ლეჩე-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | მოდენა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | უდინეზე-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ინტერი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | სევილია-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ალბასეტე-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ბარსელონა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ოსასუნა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ბილბაო-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | სარაგოსა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | მალიორკა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | დეპორტივო-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | ვალენსია-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ფულემი-ბირმინგემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5102 | მიდლსბრო-ბოლტონი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5103 | ნიუკასლი-ევერტონი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5104 | ტოტენჰემი-ჩელსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5105 | ვულვზი-საუთჰემპტ. | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5106 | ასტონ ვილა-სიტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5107 | ლივერპული-ბლექბერნი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5108 | ლიდსი-ლესტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5109 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5110 | ჰერტა-ჰანზა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5111 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზ. | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5112 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5113 | შალკე-ჰამბურგი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5114 | მიუნხენი-ჰანოვერი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5115 | კიოლნი-აინტრახტი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5116 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5117 | დორტმუნდი-ბოხუმი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5118 | ანკონა-სამპდორია | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 5119 | ბოლონია-რეჯინა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | კიევო-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5121 | ემპოლი-პერუჯა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5122 | ლაციო-სიენა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5123 | ლეჩე-რომა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5124 | მოდენა-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5125 | უდინეზე-ბრეშა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5126 | ინტერი-იუვენტუსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5127 | სევილია-ესპანიოლი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5128 | ალბასეტე-რეალი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5129 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5130 | ოსასუნა-მალაგა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5131 | ბილბაო-სელტა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5132 | სარაგოსა-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5133 | მალიორკა-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5134 | დეპორტივო-ბეტისი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5135 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5136 | ვალენსია-მურსია | 1,2 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |

# ბევრი, მუქთი, კარგი

## ლაშა-ბიჭს თურქი დევი ჩამოუვიდა

*თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში დაარსების დღიდან ერთ-ერთი უძლიერესის სახელი ჰქონდა და სახელიანი სტუმრებიც არ დაჰკლებია, მაგრამ ისეთი წარმომადგენლობითი აქამდე მაინც არასოდეს ყოფილა, როგორიც წლეულსაა. დღეს-ხვალ სპორტის სასახლეში ოცდაათი ქვეყნის ნაკრები დაღვრის ოფლს. ბევრი სპორტსმენი ოცნებას აისრულებს და ამ შაბათ-კვირას დიდხანს ლამაზადაც გაიხსენებს, ბევრსაც ოცნება ოცნებადვე დარჩება და ოლიმპიადის საგზურის მოგების საბოლოო შანსს, ევროპის ჩემპიონატს დაელოდება*


გაჩეჩი კოიოლაშვილის ფოტო

ვეება თურქი სელიმ თათაროღლუ თბილისში უხასიათობას არ უჩივის

საქართველოს ნაკრებს ლიცენზია ოდენ 81 კილოგრამში დარჩა ასაღები და თუ გრიგოლ შინჯიკაშვილმა იყოჩაღა, საათენოდ სრული გუნდიც შეიკრება. ბევრმა ლიცენზია განაღდებულმა თბილისში ჩამოსვლისგან თავი კი შეიკავა, მაგრამ ეს დაძაბულობას ვერ მოაკლებს ტურნირს. ოლიმპიადაზე წამსვლელი რამდენიმე ძიუდოისტი მაინც ყველა წონაში იქნება. ზოგი გამოცდილების გასამდიდრებლად ჩამოვიდა, ზოგსაც აქამდე დაგროვილი ქულების კიდევ უფრო გაზრდა სურს.

ერთი ლიცენზიანი შოთა ხაბარელის გუნდიდანაც იჭიდავებს. 18 წლის ლაშა გუჯეჯიანმა სალიცენზიო ქულათა დიდი ნაწილი წლევანდელ ტურნირებში მოინაგარა და საკუთარ კედლებში ალბათ ერთ-ერთი ფავორიტიც იქნება. მის ძირითად კონკურენტად გამოცდილი და ჩინ-მედლებით დახუნძლული თურქი სელიმ თათაროღლუ მიიჩნევა. ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორ თურქს ლაშამ გასულ თვეში ერთხელ უკვე სძლია და იქნებ თბილისურ ფინალშიც გააგოროს. კენჭისყრამაც ხომ ისე ინება, რომ ისინი ფინალამდე არ შეხვდებიან ერთმანეთს.

გუჯეჯიანის გარდა საქართველოს ნაკრების ღირსებას მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილი, რამაზ ჩოჩიშვილი და ზვიად ჩინჩალაძე დაიცავენ. ოთხ-ოთხი მონაწილე გვეყოლება დანარჩენ წონებშიც.

კენჭისყრა გუშინ საღამოს, „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა. კარგად ორგანიზებულ ღონისძიებას ფრანგთა კომპიუტერული ჯგუფი უძღვებოდა. მათვე ევალებათ ტურნირის შედეგების ინტერნეტში ოპერატიულად შეტანა.

ტურნირი სპორტის სასახლეში დღეს 11 საათზე დაიწყება. 60, 66 და 73 კილოგრამიანი ძიუდოისტები ნახევარფინალისტებს 16 საათამდე გამოავლენენ. 16 საათზე ოფიციალური გახსნის ცერემონია შედგება. შემდეგ კი მედლებისთვის ბრძოლებიც გახურდება.

ვისაც სპორტის სასახლეში ფეხი შემოუცდება, ნაღდად არ ინანებს. შეგიძლიათ, ჯიბეში მხოლოდ სამგზავრო ფული ჩაიდოთ — შესვლა უფასოა.

*კენჭისყრის დასრულების შემდეგ ნაკრების მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს გავესაუბრეთ:*

## შოთა ხაბარელი:
## ხალხო, არ გეწყინოთ, ლიდერები დაისვენებენ


გაჩეჩი კოიოლაშვილის ფოტო

— შეაფასეთ კენჭისყრა...

— საკმაოდ რთული მეტოქეები გვერგო. ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და ეს მოსალოდნელიც იყო. დასკვნითი სალიცენზიო ტურნირია და ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი.

— **გრიგოლ შინჯიკაშვილის მოწინააღმდეგეს თუ იცნობთ?**

— ბრიტანელი იან ბარტონი ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ თუ ლიცენზია გვინდა, ეს ბარიერი აუცილებლად უნდა გადავლახოთ.

— **ერთადერთი ულიცენზიო წონა საქართველოს ნაკრებში სწორედ 81 კილოგრამია...**

— იმედია კვირას მოვლენები ჩვენთვის სასიკეთოდ განვითარდება. სალიცენზიო ტურნირების საერთო ჩათვლის ცხრილში შინჯიკაშვილი მეათე ადგილზეა. ოლიმპიურ საგზურს ცხრა საუკეთესოში მოხვედრა იძლევა. ამჟამად მეცხრეზე ირჟი პოკორნია, გრიგოლს სულ რაღაც შვიდი ქულით უსწრებს. თბილისურ ტურნირს პოკორნიც ჭიდაობს და ისიც ბრიტანელ ძიუდოისტს ხვდება.

— **დაახლოებით რა შედეგი იქნება საჭირო ამ სხვაობის აღმოსაფხვრელად?**

— ჯერ ძნელია ამაზე საუბარი. სასურველია, შინჯიკაშვილმა მედალი მოიგოს, თუმც მიზნის მიღწევას შეიძლება მედალიც არ დასჭირდეს.

— **ნაკრების ძირითადი ბირთვის დასვენებას რითი ახსნით?**

— შეიძლება ქომაგებისთვის ეს ცოტა გულდასაწყვეტი იყოს, მაგრამ საქმისთვის ნამდვილად ასე ჯობდა. გარდა იმისა, რომ ბიჭები წლეულს ჩატარებული ტურნირებით გადაღლილები არიან, არის ერთი ფაქტორიც: ქართველები ემოციური ხალხი ვართ, საკუთარ კედლებში ჭიდაობა კი ფსიქოლოგიურ დატვირთვას მაქსიმუმამდე ზრდის. წინ მძიმე სეზონია და გარისკვა გამართლებული არ იქნებოდა.

— **თბილისურ ტურნირზე ძირითადად ახალგაზრდებზე აკეთებთ აქცენტს?**

— ძირითადად ასეა. მათთვის ასეთი რანგის შეჯიბრი უდიდესი სკოლაა. თუმც გუნდში გამოცდილებიც გვყავს. ახალგაზრდებს გვერდს გია გუგავა, რამაზ ჩოჩიშვილი და ალექსი დავითაშვილიც დაუმშვენებენ. იჭიდავებს ლაშა გუჯეჯიანიც, რომელსაც ათენის საგზური უკვე განაღდებული აქვს.

— **მძიმე წონაში ჩვენს ნაკრებში ყველაზე დიდი კონკურენციაა. ლიცენზიის კარგი შანსი ჰქონდა ხანჯალიაშვილსაც, მაგრამ არ ჭიდაობს. რატომ?**

— ზვიადის გამოყვანა მართლაც გვინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო.

— **როგორ ფიქრობთ, გადახალისებული შემადგენლობით მედლების მოგების შანსი თუ გვაქვს?**

— რა თქმა უნდა, მედლებს აუცილებლად ველოდებით.

— **ალბათ პირველ რიგში მძიმე წონაში...**

— მძიმე წონაშიც, 100 და 90 კილოგრამებშიც. ხელწამოსაკრავნი არც უფრო მსუბუქები არიან, ამიტომ პროგნოზისგან თავს შევიკავებ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### ქართველები თბილისის ტურნირზე

60კგ
ვახტანგ ხოსიტაშვილი (1982)
დავით სიმონიშვილი (1985)
ლაშა სარდანაშვილი (1980)
გიგა შოშიაშვილი (1988)

66კგ
ზაზა კედელაშვილი (1985)
მიხეილ ხომიზური (1985)
დავით უძილაური (1986)
ზეზვა ებელაშვილი (1983)

73კგ
დავით ბოდაველი (1979)
ხვიჩა ხუციშვილი (1985)
მანუჩარ მურადაშვილი (1983)
ავთო შოშიაშვილი (1983)

81კგ
გრიგოლ შინჯიკაშვილი (1985)
დავით ნადარაია (1978)
საბა გავაშელიშვილი (1982)
გრიგოლ მამრიკიშვილი (1981)

90კგ
რევაზ ჩიკოიძე (1985)
მინდია ბოდაველი (1983)
თედორე აბელაშვილი (1985)
კახა მურაჩაშვილი (1981)

100კგ
გიორგი გუგავა (1978)
დიმიტრი ტურაშვილი (1981)
ლაშა ფეიქრიშვილი (1981)
გიორგი ყიზილაშვილი (1983)

+100კგ
ლაშა გუჯეჯიანი (1985)
ალექსი დავითაშვილი (1974)
რამაზ ჩოჩიშვილი (1975)
ზვიად ჩინჩალაძე (1979)

**მწვრთნელები**
შოთა ხაბარელი
ოთარ ნათელაშვილი
ბიძინა მოხევიშვილი
ფირუზ მარტყოფლიშვილი

**მსაჯები**
ვლადიმერ ნუცუბიძე
ზურაბ კახაბრიშვილი
მერაბ ლოსეურაშვილი
ამირან ტოტიკაშვილი

### თბილისის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის მონაწილენი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ისრაელი | აზერბაიჯანი | იტალია | პოლონეთი | ფინეთი |
| სომხეთი | საფრანგეთი | ბრიტანეთი | სლოვენია | ჩეხეთი |
| მოლდოვა | ჰოლანდია | ყაზახეთი | რუმინეთი | გერმანია |
| საბერძნეთი | უნგრეთი | უკრაინა | ლატვია | ესტონეთი |
| ბელგია | რუსეთი | ესპანეთი | შვეიცარია | ბოსნია |
| ბელარუსი | თურქეთი | ავსტრია | კანადა | საქართველო |



ეროვნული ბიბლიოთეკა


სერენა უილიამსი

# მიდი, დაიკო!

**NASDAQ-100 OPEN**
მაიამი. მაგარსაფარი
კაცები
საპრიზო 3,45 მილიონი $

**მეოთხედფინალი**
**ენდი როდიკი (2, აშშ) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 5:7, 6:2, 7:5; ვინს სპედია (აშშ) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 7:5, 6:1**

ქალები
**ნახევარფინალი**
**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ელენი დანილიდუ (25, საბერძნეთი) 6:4, 6:4; ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — ნადია პეტროვა (8, რუსეთი) 6:4, 6:2**

სერენა უილიამსი ზედიზედ მესამე მაიამური ტიტულისკენ ძველებური, მხოლოდ მისთვის ჩვეული დედალავაზური სიშმაგით მიილტვის. მართალია, ელენი დანილიდუს წინააღმდეგ ხამუშ-ხამუშ მოჟანგული ჩანდა და 25 უნებლიე შეცდომის ზევით თავისი ორი გეიმიც დათმო, მაგრამ ჯამში მაინც შთამბეჭდავი სანახავი იყო. ერთი, რომ საუცხოოდ აწოდა და შვიდი ეისი დააგროვა, ხოლო მეორეც ის, რომ საერთოდაც მრავალფეროვნად გაირჯა და მეტოქე ნაირგვარი გლაჯუნით დათრგუნა.

თავის მოწოდებას სერენა თავადვე ჰკვირობდა, მართლაც მაგრად ვუბაგუნეო, დანილიდუ კი, ვისაც ნახევარფინალამდე გამართულ ხუთ მატჩში ერთი სეტიც არ წაუგია, მხოლოდ კვერს უკრავდა — დღეს დასტურ საარაკოდ ითამაშაო.

ეს სერენას ზედიზედ მეჩვიდმეტე კიბისკეინური მოგება იყო, ხოლო მეთვრამეტის მითვლას ის ფინალში რუს დემენტიევასთან ეცდება. თავის მხრივ, დემენტიევას შანსი აქვს, რაგინდარა ტურნირზე უილიამსთა ერთად მძლეველი მეოთხე მეჩოგნე გახდეს. არ გეხსომებათ — სერენა და ვინუსი ერთი და იმავე ტურნირის მსვლელობისას აქამდე მხოლოდ ლინდსი დევენპორტს (2000), მარტინა ჰინგისსა (2001) და კიმ კლაისტერსს (2002) დაუმარცხებიათ! თუკი იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ რუსლენამ თვისტომ პეტროვას იოლად ჩაურბინა და უფორმობაც არ ეთქმის, სერენას ფინალში მაინცდამაინც ფიანდაზობა არ უნდა ელოდოს.

**ლევან ძელაურაძე**

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი–4 აპრილი

# ნანას სნაიპერებმა მიზანში მოარტყეს

XI ტური

**ნანა ძაგნიძე** (საქართველო) — მონიკა სოცკო (პოლონეთი) 1:0; **ქეთევან არახამია-გრანტი** (საქართველო) — ელენა ზაიაცი (რუსეთი) 0,5:0,5; ინა გაპონენკო (უკრაინა) — **მაია ლომინეიშვილი** (საქართველო) 0,5:0,5; ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი) — **ნინო ხურციძე** (საქართველო) 0:1

ზედიზედ მეორე გამარჯვებით ნანა ძაგნიძემ ცხრილში ექვსი საფეხურით წაიწია და რომელიმე მედლის მოპოვების შანსი კვლავ გაუჩნდა. ოქროს მედალზე კი ქართველებმა უკვე ხელი ჩაიქნიეს და მასზე პრეტენზიას სხვა ეროვნების ექვსი მოჭადრაკე აცხადებს. მოწინავე ექვსეულში უპირატესობას ზაოგინ პენგი და ალექსანდრა კოსტენიუკი ფლობენ, 11 ტურში სწორედ ისინი დაეჯახნენ ერთმანეთს, თუმცა მეტოქეებმა ყოველგვარი რისკისგან თავი შეიკავეს, 79 სვლა ფრთხილად იარეს და საბოლოოდ ყაიმით არჩიეს დაშორება. ორივე ლიდერის ბედად ასევე ქულები გაიყვეს უახლესმა მდევრებმა და მათ შორის სხვაობა უცვლელი დარჩა.

რთული და დაძაბული გამოდგა პოლონელი მონიკა სოცკოსთან პარტია. ნანამ თამაში ერთ-ერთი იშვიათი დებიუტით მხედარი F3-ით დაიწყო და მეექვსე სვლისთვის მეორე ხაზზე ოფიცრები სნაიპერებივით განალაგა. სოცკომ იერიში დაიწყო და დიდი ძალებით მიაწვა ქართველის ფლანგს. ნანამ დაცვა გაამლიერა და პარალელურად მძიმე ფიგურები შეტევაში ჩართო. სოცკო რამდენიმე სვლა გაუმკლავდა ძაგნიძის მოიერიშე ფიგურებს, თუმც ორთაბრძოლებში შეცდომა დაუშვა და 69-ე სვლაზე თამაში შეწყვიტა.

ქართველთაგან ასევე იმარჯვა წინა ტურში დამარცხებულმა ხურციძემ. ნინომ მეორე ტურში ძაგნიძის გამამწარებელ მამედიაროვას 38-ე სვლაზე მოუგო და საუკეთესო ოცეულში შეაბიჯა.



ნინო ხურციძე

| | |
|---|---|
| 1 (1) - ზაოგინ პენგი (ჰოლანდია) | 8,5 |
| 2 (2) - ალექსანდრა კასტენიუკი (რუსეთი) | 8,5 |
| 3 (3) - ირინა სლავინა (რუსეთი) | 8 |
| 4 (4) - ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) | 8 |
| 5 (5) - ფოისორ კრისტინა ადელა (რუმინეთი) | 8 |
| --- | --- |
| 10 (16) ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 7,5 |
| 12 (14) მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 7 |
| 13 (13) ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 7 |
| 20 (28) ნინო ხურციძე (საქართველო) | 7 |

*ფრჩხილებში მოცემულია ადგილები წინა ტურში*

ამბერის ტურნირი

მონტე-კარლო. 20 მარტი–1 აპრილი

# რუსულმა დუეტმა სოლო იმღერა

**ამბერის** მე-13 გათამაშება ორი რუსის, კრამნიკისა და მოროზევიჩის გამარჯვებით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ აქამდე ტურნირი ორ-ორ კაცს ერთად მხოლოდ ორჯერ ჰქონდათ მოგებული და ერთ-ერთი მოწილე ყოველთვის კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკი იყო.

ბოლო წლებში ამბერის მოსაგებად უკვე 14-15 ქულაც საკმარისია, წლევანდელმა ტრიუმფატორებმა ასპარეზობა 14,5 ქულით დაასრულეს. აი, ათი წლის წინ კი ანანდს ტურნირის მოსაგებად 17 ქულა დასჭირდა.

გადამწყვეტი მე-11 ტურის წინ ორივე ლიდერი რუსი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარ ანანდს და დასკვნით მატჩებშიც აზიელზე ნაკლები სანერვიულო ჰქონდათ. თვალხუჭუნა პარტია ორივე ლიდერმა ყაიმით დაასრულა, თუმც მოიგო ინდუსმა და მათთან სხვაობა ნახევარ ქულამდე დაიყვანა. ეს კი, რა თქმა უნდა, რუსებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, სწრაფებში მათ დიდი ბრძოლა გაუმართეს მეტოქეებს და სასურველ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

კრამნიკი ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს შეხვდა და პარტია სიფრთხილით დაიწყო, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და ფიგურები წინ მას შემდეგ გაუშვა. იერიშებს ტოპალოვმაც მიმართა და რუსის ტერიტორიაზე თავხედურად შეიჭრა, კრამნიკი მის მოსაგერიებლად გაცვლებს შეუდგა, რითაც მიზანს მალე მიაღწია — ბულგარელს აწყობილი სქემა სრულიად მოუშალა და შავებმა 30-ე სვლაზე დამარცხება აღიარეს.

ამბერის მეორე გამარჯვებულმა მოროზევიჩმა თვალხუჭუნა ცხრილში 8,5 ქულით პირველი ადგილი არავის დაუთმო, სწრაფში კი 7,5 ქულით პირველობა ტურნირის შარშანდელ ტრიუმფატორ ანანდს დარჩა გულის მოსაფხანად.

**ლაშა გეგეჭკორი**

საბოლოო ცხრილი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ალექსანდრ მოროზევიჩი | 14,5 |
| 2 | ვლადიმირ კრამნიკი | 14,5 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი | 13,5 |
| 4 | ვასილ ივანჩუკი | 13 |
| 5 | პეტერ ლეკო | 12,5 |
| 6 | ევგენი ბარეევი | 12,5 |
| 7 | პეტერ სვიდლერი | 11,5 |
| 8 | ალექსეი შიროვი | 10,5 |
| 9 | ვესელინ ტოპალოვი | 10 |
| 10 | ბორის გელფანდი | 8,5 |
| 11 | ლუკ ვან ველი | 7,5 |
| 12 | ფრანსისკო ვალეხო | 3,5 |

ცურვა

# გოუ, გოულდ, გოუ!

**ვეტერანი** ავსტრალიელი მოცურავე შეინ გოულდი, რომელიც ახლა 47 წლისაა, თავის დროზე ერთიმეორის მიყოლებით ამყარებდა მსოფლიოს რეკორდებს და მრავალ შეჯიბრებაზე იმარჯვებდა. იგი 1971-72 წლებში თავისუფალი სტილით ცურვაში ყველა მსოფლიოს რეკორდის მფლობელი იყო. განსაკუთრებულ წარმატებას მან 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე მიაღწია, როცა 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით, აგრეთვე 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს რეკორდებით ოქროს მედლები მოიპოვა და ხელს 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოპოვებული ბრინჯაოც გამოაყოლა.

ახლა შეინ გოულდი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე თანამემამულეთა ქვეყნის ჩემპიონატს გაფაციცებით ადევნებს თვალყურს, რომელიც საათენოდ ავსტრალიელთათვის შესარჩევი შეჯიბრებაა.

მაგრამ შეინ გოულდს გულმა აღარ მოუთმინა და თავადაც გადაწყვიტა შეჯიბრებაში გამოსვლა. მან სტარტი აიღო 50 მეტრზე ბატერფლეით წინასწარ გაცურვაში, სადაც 66 სპორტსმენი გამოვიდა. ყველას გასაკვირად შეინ გოულდმა ხუთ მოწინაალმდეგეს მაინც აჯობა.

გაცურვის მერე შეინ გოულდმა აღიარა, ჩემი მთავარი ამოცანა იყო, რომ როგორმე ფინიშთან ბოლო არ ვყოფილიყავი და როგორც ხედავთ, მან გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




ავსტრალიელთა ძველი და ახალი სიამაყე: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდით გამარჯვებული ლიზბეტ ლენტონი (შუაში), შეინ გოულდი (მარცხნივ) და სამი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ლეგენდარული დოუნ ფრეზერი

ავტორბოლა

# F1

მესამე ეტაპი ბაჰრეინის დიდი პრიზი

საჰირი

*მანამა, 4 აპრილი*



| | |
|---|---|
| ტრასის სიგრძე | 5.411 კმ |
| რბოლის დისტანცია | 57 წრე — 308.427 კმ |

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16.30 საათზე*

*ბაჰრეინში რბოლა პირველად ტარდება*

# შქალმზოდ და შზოთლოდ

**სპარსეთის** ყურეში შეყუჟული ციცქნა კუნძული ბაჰრეინი 24-ე ქვეყანაა, რომელსაც საფორმულო ეტაპის ჩატარების პატივი ხვდა. ჯუჯელები საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციისგან ნებართვის მიღებისთანავე ისეთი მონდომებით შეუდგნენ საქმეს, რომ სულ რაღაც 485 დღეში მოასწრეს დედაქალაქ მანამადან 30 კილომეტრის დაშორებით უნიკალური ავტოდრომის აგება XXI საუკუნის შესატყვისი ინფრასტრუქტურით.

ეგაა, ისლამის მოთხოვნის გათვალისწინებით, ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებისას, ევრო-ამერიკული ეტაპებისგან განსხვავებით, ვერ ვიხილავთ ვერც სანახევროდ გაშიშვლებულ გოგონებს და ვერც ტრადიციულ შამპანურს პოდიუმზე პრიზიორთა დაჯილდოებისას.

გუშინ „საჰირის“ ტრეკზე პირველი ვარჯიშისას საუკეთესო დრო მიხაელ შუმახერის „ფერარიმ“ აჩვენა. ორსაათიანი შესვენების შემდეგ მეორე ცდაზე კი უსწრაფესი იყო შუმის თანაგუნდელი რუბენს ბარიკელო, რომელმაც 5,4-კილომეტრიან წრეს 213,2 კმ/სთ საშუალო სიჩქარით შემოუქროლა. უილიამსელი ხუან-პაბლო მონტოია მას მიკროსკოპული, წამის მეათასედი სხვაობით ჩამორჩა. იყოჩაღა ახალბედა კრისტიან კლინმა, რომელმაც თითქმის მიხაელ შუმახერის ტემპში იჯირითა.

უსიამოვნება შეემთხვათ „მაკლარენის“ და „რენოს“ პილოტებს: ვიცე-ჩემპიონ კიმი რაიკონენის „მაკს“ ძრავა დაეწვა, ხოლო მის თანაგუნდელ დევიდ კულჰარდის და რენოელ ფერნანდო ალონსოს ბოლიდებს სიცხისგან საბურავები გაუსკდათ. საბედნიეროდ, საშიში არაფერი მომხდარა — ინციდენტები ტრასიდან გასრიალებით შემოიფარგლა.



REUTERS მანამიდან

გუშინ „საჰირზე“ ყველაზე სწრაფი რუბენს ბარიკელოს „ფერარი“ იყო

# სალარო დაიკეტა, წრე ჩაიკეტა
## დაშლილი ბასკო ფედერაციას გაშლის ნებართვას სთხოვს

*„ბასკო“ დაიშალა, ფული აღარა აქვს, მაგრამ ჩემპიონატიდან ვინ უშვებს? გუშინ ფედერაციის გამგეობის სხდომამ უხელფასოდ დარჩენილი „ბასკოს“ მოთამაშეებს სხვა გუნდებში გადანაწილების უფლება არ მისცა, ან ბათუმში დარჩებით, ან ამ სეზონში თქვენი კალათბურთი დამთავრებულიაო.*
*გუშინ ფედერაციაში გამართულმა გამგეობის სხდომამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო – „ბასკოს“ კალათბურთელებს, რომლებზეც „დინამოსა“ და „სტუ-ჯეოსელს“ კარგა ხანია, ნადირობა ჰქონდათ გაჩაღებული, გუნდის გამოცვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა*

**მამუკა კაციტაძე**, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, გამგეობის წევრი — „ბასკოს“ მოთამაშეები ან გუნდში დარჩებიან, ან არსადაც არ გადავლენ. მათთვის გუნდის გამოცვლის უფლება რომ მიგვეცა, სხვა კლუბები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. აქამდე მოსულა, ვთქვათ, თსუ, უწვალია და ახლა დაშლილი „ბასკოს მოთამაშეებს დაუშვათ, „მაკაბი“ გადაიყვანს და ჩემპიონი გახდება. ისინი „ბასკოში“ სოლიდურ ხელფასს იღებდნენ და თვენახევარი რომ ანაზღაურების გარეშე ითამაშონ, არაფერი დააკლდებათ. აგერ, რუსთაველები უფულოდ არ თამაშობენ?!“



ვინ შეიფარებს „ბასკოდან“ წამოსულ კამერუნელ ჟოლივეტ ტუჯანის?

*ფედერაციის გადაწყვეტილება რომ გაიგეს, „ბასკოს“ მესვეურებს უთქვამთ, გუნდს გავაუქმებთ და ასეთ შემთხვევაში ხომ ექნებათ ჩვენს მოთამაშეებს სხვაგან გადასვლის უფლებაო. ჩემპიონატის დებულება ამას ითვალისწინებს — თუ გუნდი იშლება (უქმდება), მის წევრებს უფლება ეძლევათ, სხვა კლუბებში გადანაწილდნენ. თუმც ფედერაცია აქაც შეუვალია:*

**მერაბ რატიშვილი**, ფედერაციის გენერალური მდივანი, გამგეობის წევრი — „იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ბასკო“ გაუქმდება, მისი მოთამაშეები ამ სეზონში საქართველოს ჩემპიონატში ვერ ითამაშებენ. „ბასკოს“ ჩვენ უკვე გავუგზავნეთ ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილება. რას აპირებენ, 7 აპრილამდე უნდა გვაცნობონ. ბათუმელებს უფლება აქვთ, 4 მოთამაშე დაიმატონ დუბლიორთა გუნდიდან, ამასთან, კიდევ იმდენის შემატების შესაძლებლობა აქვთ, რამდენი კალაბურთელიც დატოვებს ძირითად გუნდს. ასე რომ, „ბასკოს“ შეუძლია, დუბლიორებით ჩაამთავროს ჩემპიონატი, ხოლო საკუთრივ დუბლიორთა ჩემპიონატში თამაშზე უარი თქვას. ეროვნულ ჩემპიონატში თამაშზე უარის შემთხვევაში „ბასკოს“ დებულებით გათვალისწინებული სანქციები დაედება.“



ნუგზარ კანდელაკი: რა ვქნა, ბიჭებო, რა გიშველოთ!

*უსახსროდ დარჩენილ გუნდში ჯერ არ გადაუწყვეტიათ, რას იზამენ. გუშინ ბათუმში მიმავალმა „ბასკოს“ მწვრთნელმა* **ნუგზარ კანდელაკმა** გვითხრა — „ჩვენთვის მოთამაშეთა ინტერესები ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროა, რომ ფედერაციამ მათ სხვაგან წასვლის უფლება არ მისცა. ახლა რას ვიზამთ, არ ვიცით. თუ არანაირად არ მოხერხდება ჩვენი მოთამაშეების სხვა კლუბებში გადასვლა, თავად მათზეა დამოკიდებული, დარჩებიან და უხელფასოდ ითამაშებენ თუ არა ბათუმში.“

*ჯერ არც თავად „ბასკოს“ მოთამაშეებს აქვთ გადაწყვეტილი, რა გზას დაადგებიან, თუმც მათ ფედერაციის გადაწყვეტილება რომ არ მოსწონთ, აშკარაა.*

**დავით ბერიშვილი**, „ბასკოს“ გამთამაშებელი — „რომც გვინდოდეს, ძალიან გაგვიჭირდება ბათუმში დარჩენა. უცხო ქალაქში მხოლოდ საცხოვრებელის პრობლემა რად ღირს, სხვა რამეზე არც ვლაპარაკობ. კარგი, დავთანხმდით უხელფასოდ თამაშს, მაგრამ ტრავმა რომ მივიღოთ, წინ ხომ პლეი ოფებია, სადაც დანდობა არ იქნება. ვინ გვიმკურნალებს, კლუბს ფული არა აქვს. ეს ხომ უნდა გაითვალისწინოს ფედერაციამ, თანაც „ბასკოში“ ეროვნული ნაკრების კანდიდატები თამაშობენ. „ბასკო“ ხელფასს ვერ გვაძლევს, რითაც კონტრაქტს არღვევს, თუმც კლუბის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ ჩვენს დასახმარებლად, ფედერაცია კი ამაში მათ ხელს უშლის.“

*დავით ბერძენიშვილზე ამბობდნენ, უხელფასოდ თამაშზე ყაბულსაო, თუმც „ბერძენს“ რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, ისეთი აფორიაქებული ვარ, ნაღდად არ ვიცი, რას ვიზამ, ცუდია, სხვა კლუბში გადასვლის ნება რომ არ დაგვრთესო.*

*საერთოდ ჰაერშია გამოკიდებული კამერუნელი* **ჟოლივეტ ტუჯანი**. *ის დღეს „ბასკოს“ მიერ დაქირავებულ ბათუმურ ბინას დაცლის...*

„როგორ უნდა ვითამაშო ანაზღაურების გარეშე, ვერც კი წარმომიდგენია. ბინაც რომ ვიშოვო ბათუმში, ტელეფონის, აირის, შუქის და კიდევ არ ვიცი, რამდენნაირი გადასახადია. ელემენტარული პირობები მაინც თუ არ მექნება, ბათუმში ვერ გავჩერდები.“

*მოკლედ, არავინ იცის, თუ რა ელის „ბასკოს“. ზღვისპირელთა ხელმძღვანელობა მზადაა, დაშალოს კლუბი, ოღონდ მათ მოთამაშეებს სხვაგან გადასვლის და გასამრჯელოს აღების საშუალება მიეცეს, მაგრამ ფედერაციის ვერდიქტით, ვერც ერთი ბასკოელი ამ სეზონში სხვა კლუბის მაისურას ვერ მოირგებს.*

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

# ევროლიგა
### მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. 31 მარტი-1 აპრილი

# ანტისემიტიანი
## ებრაელებს სახლიდან აძევებენ

**ევროლიგისთვის** ამ უდაძაბულეს კვირაში არაერთი ბობოლა განიგმირა უკანასკნელ წამზე. ევროპის ჭრელაჭრულა ფიცარნაგებზე და ტრიბუნებზე ბევრი ოფლი და უფრო მეტი ცრემლი დაიღვარა.

მეორე ჯგუფური ეტაპის გასრულებამდე ანუ ოთხთა ფინალამდე ერთი ტურით ადრე თელ ავივში წამსვლელი პირველი გუნდი გაირკვა, ამ ეტაპზე ჯერაც დაუმარცხებელმა მოსკოვის „ცსკა-მ“ ოთხშაბათს ესპანური „ტაუ“ „აპოკალიფსურ“ ჯახში დაამარცხა.

...ხოლო თვითონ თელ ავივის სიამაყემ და სემიტთა ნალოლიავებმა „მაკაბიმ“ თურქეთში „ულქერთან“ წააგო...

ცსკა-ს ჩვენებური გიორგი ცინცაძე ქართველ ჭაბუკებთან ერთად ხორვატიაში რომც არ ყოფილიყო, „ტაუსთან“ მაინც არავინ ათამაშებდა, რადგან D ჯგუფიდან ოთხთა ფინალში გასასვლელი მატჩი სწორედ ეს გახლდათ, შესაბამისად დაძაბული და უპრინციპულესი. პირველ წრეში „რუსულმა არმიამ“ ბასკეთში 3 ქულით დაამარცხა „ტაუ“ და მოსკოვში ამაზე მეტით არ უნდა წაეგო. ბასკებმა ბასკურად მოინდომეს და პირთამდე სავსე ცსკა-ს ბუმბერაზი დარბაზი კინაღამ შოკში ჩააგდეს. თამაშის დასრულებამდე 50 წამით ადრე „ტაუ“ 5 ქულას იგებდა და ბურთსაც ფლობდა, თუმცა გარუსებულმა ჯეი არ ჰოლდენმა ისე შეატრიალა თამაში, ცსკა-მ იქით იმარჯვა. აცრემლებული ესპანელები აზრზე ვერ მოვიდნენ, რა ხდებოდა. ათი ათასმა რუსმა კი ფინალში გასვლისა შემოსძახა...

ბასკებზე უარესი ტრაგედია დაატყდა თავს სტამბოლურ „ეფესს“. თურქებს ნაბიჯიც აღარ აშორებდათ ოთხთა ფინალამდე, თუმც ორქულიან ლიდერობას ორ წამს ველარ გაუფრთხილდნენ, სკიპერელი ჯანლუკა ბაზილესგან მომაკვდინებელი სამქულიანი იგემეს და ფაქტობრივად უფინალოდ დარჩნენ. „მელუდეებმა“ პირველ წრეში სტამბოლში 2 ქულით სძლიეს ბოლონიელებს და ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას ინარჩუნებენ, მაგრამ ადგება ეს ჩვენი „სკიპერი“ და ბოლო ტურში საფრანგეთში „პო ორტეზს“ დაამარცხებს და სდიოს მერე „ეფესმა“...

„პო ორტეზმა“ კი ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია“ დაამარცხა ლიუბლიანაში. ჩვენებურმა თვალში საცემი ვერაფერი გააკეთა.

„სიკვდილის ჯგუფში“ კი ერთი ხმაურიანი მკვლელობა უკვე მოხდა. მოქმედი ჩემპიონი „ბარსელონა“ ზედიზედ მესამედ დამარცხდა შინ, ამჯერად „პანათინაიკოსთან“ და ოთხთა ფინალში გასვლის იოტისოდენა შანსიღა შერჩა.

თავის მხრივ ჯგუფის ლიდერი „ბენეტონიც“ დამარცხდა, თუმც ტრევიზოელების სიენაში წაგებას უფრო განადგურება ეთქმის. „სიენა“ კი მხოლოდ ქების ღირსია. ამ გუნდმა შარშან ძლივძლივობით გააღწია მეორე ჯგუფურ ეტაპზე, იქიდან კი რიხინით გავიდა ოთხთა ფინალში. წლეულსაც იგივეს ეშურება და ბოლო ტურში ათენში „პანათინაიკოსს“ თუ აჯობა, ყოველგვარი ბურთების დაუთვლელად წავა თელ ავივში. თუ „სიენა“ დამარცხდა, „ბარსელონამ“ კი ტრევიზოში „ბენეტონს“ მოუგო, ოთხივე გუნდს სამ-სამი წაგებ-მოგება უგროვდება. ასეთ შემთხვევაში უკვე თითოეული ქულა ოქროზე ძვირად დაფასდება.

თავში ნახსენები „მაკაბის“ ამბავი ბოლოში ვთქვათ. თელავიველებს სტამბოლში რომ ემარჯვათ, საკუთარი ქალაქში თამაშის უფლებას მოიპოვებდნენ, ასე კი ბოლო ტურში შინ „ჟალგირისის“ მოგება სჭირდებათ და სანაძლეოს ჩამოვალთ, რომ მოახერხებენ.

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

**ცსკა 84:82 ტაო**
ცსკა: თურქჯანი (18 ქულა, 14 მოხსნა)
ტაო: ნოჩიონი (29)

**ოლიმპიაკოსი 68:70 ციბონა**
ოლიმპიაკოსი: ლიადელისი (19), ბაგარიჩი (16)
ციბონა: ზიზიჩი (19), პოპოვიჩი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 5 | 0 | +50 | 10 |
| ტაო | 5 | 3 | 2 | +22 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 4 | -36 | 6 |
| ციბონა | 5 | 1 | 4 | -36 | 6 |

### E ჯგუფი

**ოლიმპია 86:90 პო ორტეზი**
ოლიმპია: ოზბოლტი (18), ბოისა (22 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი)
პო ორტეზი: შკელინი (18), ლუკოვსკი (16)

**სკიპერი 76:75 ეფესი**
სკიპერი: ბაზილე (21), დელფინო (15)
ეფესი: ლანგდონი (24), გრანგერი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკიპერი | 5 | 4 | 1 | +26 | 9 |
| ეფესი | 5 | 3 | 2 | +27 | 8 |
| პო ორტეზი | 5 | 2 | 3 | -33 | 7 |
| ოლიმპია | 5 | 1 | 4 | -20 | 6 |

### F ჯგუფი

**ბარსელონა 64:67 პანათინაიკოსი**
ბარსელონა: ბოდიროგა (22), ნავარო (16)
პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (17), მუეძინოვიჩი (15)

**სიენა 80:64 ბენეტონი**
სიენა: ტორნტონი (19)
ბენეტონი: ევანსი (26)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 5 | 3 | 2 | +28 | 8 |
| ბენეტონი | 5 | 3 | 2 | 0 | 8 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 3 | +9 | 7 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 3 | -37 | 7 |

### G ჯგუფი

**ჟალგირისი 87:100 პამესა**
ჟალგირისი: კოტა (20), საბონისი (17)
პამესა: რიგოდო (30), ობერტო (21)

**ულქერი 79:76 მაკაბი**
ულქერი: ერდოგანი (18), ბლერი (16)
მაკაბი: ვუიჩიჩი (20), ბასტონი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 5 | 3 | 2 | +38 | 8 |
| ჟალგირისი | 5 | 3 | 2 | +21 | 8 |
| პამესა | 5 | 3 | 2 | -9 | 8 |
| ულქერი | 5 | 1 | 4 | -50 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი**

ხორვატია. სისაკი. 1-5 აპრილი

**საქართველო 79:75 ხორვატია**

**25:17 16:14 20:15 19:29**

**საქართველო:** ცინცაძე (11 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი, 1 დაფარება), გამყრელიძე (4), საყვარელიძე (5), მარკოიშვილი (31 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი), სანიკიძე (19 ქულა, 14 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება), გვიმრაძე (4), ათანელიშვილი (5)

# საქართველომ ხორვატიას უტია

*იტალიელებთან სადებიუტო მატჩში დამარცხების შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა წუხელ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ქართველებმა მასპინძელ ხორვატებს მოუგეს, რომლებმაც პირველ ტურში ჩვენებურთა დღევანდელი მეტოქე ფინელები გაანადგურეს. გამარჯვებაში ლომის წვლილი მიუძღვის 31 ქულის მომხვეჭ მანუჩარ მარკოიშვილსა და 19 ქულასთან ერთად 14 მოხსნის მიმთვლელ ვიქტორ სანიკიძეს. წუხელ ორივე მათგანს სისაკში შევეხმიანეთ...*




ვიქტორ სანიკიძემ ხორვატებს უხსნა და უტენა

**ვიქტორ სანიკიძე:**

— მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და ერთხანს 17 ქულითაც დავწინაურდით, ვერ ვიტყვი, რომ იოლად გავიმარჯვეთ. ხორვატებს თითქმის ყველაფერში ვაჯობეთ საბოლოოდ, მაგრამ რაც მათ მართლაც კარგი ჰყვდათ, უკანა ხაზი იყო. მათი დაბლები ძალიან სწრაფები იყვნენ და ბოლო მეოთხედში კინაღამ წაგვაგებინეს. გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 15 ქულას ვიგებდით, თუმცა თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მასპინძლები 3 ქულით მოგვიახლოვდნენ. ბევრი მაყურებელი არ იყო, მაგრამ ვინც ტრიბუნაზე იჯდა, ხორვატებს ქომაგებდნენ. ერთხან ვიფიქრეთ, მორჩა, მოგებული თამაში წაგვაგებინეს, ახლა მსაჯები მასპინძლებს დაეხმარებიანო, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ეს ეჭვი არ გამართლდა, ყველაფერმა კორექტულად ჩაიარა, ჩვენც მოვინდომეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.

**— მოხსნებში ლიდერთა შორის ხარ, ახლა კი უფრო გაიუმჯობესე სტატისტიკა. ხორვატებს იოლად ჯაბნიდი ფარქვეშ?**

— 14 მოხსნა კი მოვაგროვე და რა ვიცი. რამდენჯერმე ჩავტენე კიდეც, თუმცა ერთ ეპიზოდში, ფარიდან რომ უნდა ჩამოვმხტარიყავი, ველარ მოვზომე და ხორვატს დავახტი. იატაკზე უხერხულად დავეცი, წელი მაწუხებს და არ ვიცი, ხვალ ფინეთთან თუ ვითამაშებ.

**მანუჩარ მარკოიშვილი**

— საკმაოდ დაძაბული თამაში იყო, ბოლო წუთებზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც ჩვენ ვიმარჯვეთ. ეს იყო სრულიად განსხვავებული მატჩი იმისგან, რაც იტალიასთან ვითამაშეთ. 2 დღის შეკრებილები ვიყავით, თან პირველი მატჩი იყო და ვერ მოვახერხეთ იტალიელთა ძლევა, არადა ამის გაკეთება ნამდვილად შეგვეძლო. ხორვატებს ყველა სათამაშო მაჩვენებელში ვაჯობეთ, თუმც გამარჯვება იოლად არ მოსულა.

**— 31 ქულა გააკეთე და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო წინ წაიწიე...**

— ეგ ჩემთვის მეათეხარისხოვანია, მთავარი გუნდის ინტერესები და გამარჯვებაა. თუ ჯგუფიდან ვერ გავედით, რაში მინდა ბომბარდირობა. ხორვატებთან ამაზე არც ვფიქრობდი, უბრალოდ მქონდა შეტევის შანსი და ვესროდი კიდეც. თან მწვრთნელმა შეუცვლელად მათამაშა.

**— მოგება გაგახარებდათ, არ აღნიშნეთ?**

— ხორვატებთან გამარჯვებას ლოგინში ჩაწოლით ავღნიშნავთ, რათა ენერგია აღვიდგონოთ და ხვალ ფინელებს ჯანზე შევხვდეთ. თუ სანიკიძე არ ითამაშებს, შესაძლოა გაგვიჭირდეს კიდეც, ფინეთმა პირველი ადგილი დაიკავა საკვალიფიკაციო ჯგუფში, ასე რომ სერიოზული ბრძოლა გველის.

**ირაკლი პერტაია**




გიორგი ცინცაძე და მანუჩარ მარკოიშვილი

*ახლახან გასრულებული ფიბა-ევროპის თასის ფინალში მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერმა" ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის „დიჟონი" დაამარცხა. ქართველები ოთხთა ფინალის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეები იყვნენ, ოღონდ ერთ მათგანს, ვიქტორ სანიკიძეს, სკამზე მოუწია ჯდომა. თუმც მისი თანაგუნდელი და საქართველოს ნაკრების მრავალნაცადი კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი ერთგვარად გვამშვიდებს:*




# ვიქტორი დიდი ბიჭი გაიზრდება

## ინტერვიუ ნაცვლიშვილთან სანიკიძეზე

**— ფინალში წაგება ყოველთვის დასანანია, თანაც შედარებით სუსტ გუნდთან...**

— „მიტელდოიჩერი" მართლაც არაა „დიჟონის" გუნდი, მაგრამ ჩვენ ზედმეტმა თავდაჯერებამ დაგვღუპა. ერთიცაა, ჩვენი გუნდი ფიბა-ევროპის თასს თავიდანვე ალმაცერად უყურებდა

**— მაგრამ ფინალი ფინალია...**

— გეთანხმები, თუმც ჩვენ ნახევარფინალში გვქონდა ფინალი. მასპინძელი „ტუბორგი" დავამარცხეთ, რაც სასწაულის ტოლფასია.

**— თუ ასეთი ძლიერი მეტოქე დაამარცხეთ ნახევარფინალში, ფინალში შედარებით სუსტს ველარ მოერიეთ?**

— თურქული გუნდი ისედაც ძლიერია, თან საკუთარ დარბაზში თამაშობდა. ოთხთა ფინალისთვის რომელიმე მონაწილე გუნდს უნდა ემასპინძლა. მოსკოვმა უარი თქვა, გერმანელებს ფული არ ჰქონდათ, ჩვენი დარბაზი კი დაკავებული იყო. მასპინძელს 100 ათასი დოლარი უჯდებოდა ოთხთა ფინალის ჩატარება და ამას თურქები დათანხმდნენ. ეს რომ გავიგეთ, მაშინვე ვთქვით, „ტუბორგი" ჩემპიონიაო. თუმც ნახევარფინალში დრამატულ ბრძოლაში მოვუგეთ მასპინძლებს, მთელი დარბაზი მზად იყო, მოვეკალით. მათი სპონსორების სახეები უნდა გენახათ მატჩის შემდეგ, თვალები შუბლზე აუვიდათ.

**— შენ უფრო კარგად ფინალში ითამაშე „მიტელდოიჩერთან"...**

— კი, თუმც თურქების დამარცხებაშიც მიმიძღვის წვლილი. მე და მონეს ფარქვეშ რომ არ გვეშრომა, „ტუბორგს" ვერ მოვუგებდით. ამ გამარჯვების შემდეგ ჩავთვალეთ, რომ თასი ჩვენი იყო და „მიტელდოიჩერთან" სათამაშოდ მოგებაში დარწმუნებულები გავედით.

**— შენ არ გეტყობოდა, რომ გამარჯვებაში იყავი დარწმუნებული, 22 ქულას დაარხეინებული მოთამაშე ვერ ჩააგდებდა...**

— ჰო, მაგრამ მარტო მე ხომ არ ვარ, სხვებსაც რომ აებათ მხარი, თასი ჩვენ დაგვრჩებოდა.

**— მანუჩარ მარკოიშვილის წინაალმდეგ მოგიწია თამაშმა...**

— ერთ-ერთი საუკეთესო იყო და უცნაურია, მწვრთნელი რატომ არ ათამაშებს სასტარტო ხუთეულში. ნახევარფინალში მანუჩარი 24 წუთით შეიყვანეს მოედანზე და 20 ქულა ჩააგდო, მეტი რა უნდა გაეკეთებინა?! ფინალშიც კარგად ითამაშა. ის უკვე საკმაოდ დაღვინებული კალთბურთელია...

**— რასაც ვერ ვიტყვით შენს თანაგუნდელ ვიქტორ სანიკიძეზე, რომელსაც თურქეთში არ უთამაშია...**

— სანიკიძესთან ფინალის მერე მწვრთნელი მივიდა და მოუბოდიშა, უნდა მეთამაშებინეო — არ ვაჭარბებ, ჩემი ყურით მოვისმინე. სანიკიძე ჯერ არაა ჩამოყალიბებული, ზრდის პროცესშია, თუმც ახლა უკვე სჯობს საფრანგეთში ყველა თანატოლს. ის მომავალი წლიდან მთლიანად „დიჟონის" ძირითად გუნდში დაკავდება, ამის შესახებაც მელაპარაკა მწვრთნელი. მანამდე კი სანიკიძეს დუბლიორებში წვრთნიან, სადაც ის ორი თავით მაღლა დგას ყველაზე. ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურია დარჩენილი, თუმც საერთო სტატისტიკურ მაჩვენებლებში ის ისე დიდი სხვაობით უსწრებს მეორეზე მყოფ კონკურენტს, რომ ვიქტორი უკვე გამოაცხადეს საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ.

**— ძირითადი გუნდის განაცხადშიც სულ არის, მაგრამ თითქმის არ ათამაშებენ. ბევრი აკლია „დიჟონის" ხელმძღვანელთა ნდობამდე?**

— ის უკვე სარგებლობს დიდი ნდობით. ხომ გეუბნები, მასზე ძლიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა საფრანგეთში არ არის, აქედან კი ყოველწლიურად მიდიან ნბა-ში. დარწმუნებული ვარ, სანიკიძეც ნბა-ში წავა. პირდაპირ გაოცებული ვარ ამ ბიჭის არა მარტო მონაცემებით, არამედ საკალთბურთო აზროვნებით, ნიჭითა და ზრდილობით. მხოლოდ ნიჭი არ შველის, თუ დადებითი ადამიანი არ ხარ, დიდ კალათბურთს ვერ ითამაშებ. სანიკიძეს აბსოლუტურად ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ ვარსკვლავი გახდეს. მან უკვე დაამტკიცა, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში. საფრანგეთის თასი რომ მოვიგეთ, სანიკიძის დიდი დამსახურებაა. ფინალში ის თამაშის ბოლოს შემოვიდა და „ვილერბანს" უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩაუგდო, მერე კი ჩატენა. ფიბა-ევროპის კონფერენციის ოთხთა ფინალშიც ძალიან კარგად ითამაშა, ნახევარფინალში 9, ფინალში კი 11 ქულა მოაგროვა. ახლა „დიჟონში" ოთხი კაცი ვართ მეოთხე ნომრის პოზიციაზე და სანიკიძე დიდი კონკურენციის გამო ვერ თამაშობს. მწვრთნელი ამაზე სულ წუხს, იმ დღესაც მითხრა, ვიქტორი უკვე მზადაა, დიდებში თამაშს ნელ-ნელა უნდა გავაჩვიოო. ბოლოს ერთსაც გეტყვი ვიქტორზე — ის ახლავე უნდა აიყვანოს ნაკრებში დრაჟენ ბრაიკოვიჩმა, აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი მის სანაკრებო დონეზე თამაშს. ვფიქრობ, მასთან ერთად მარკოიშვილი და ცინცაძეც უნდა მოხვდნენ ნაკრების ძირითად 12 კაცში, ეს სამეული საქართველოს მომავალია.

**— გიორგი მამაცაშვილიც ხომ „დიჟონშია", მისი საქმეები როგორაა?**

— არ ეწყინება მამაცაშვილს, თუ მას სანიკიძეს არ შევადარებ. გიორგის ძალიან ბევრი აქვს დასახვეწი, პირველ რიგში, ფიზიკურად უნდა მომძლავრდეს. თანაც ის ჯერ არ არის „დიჟონის" წევრი. მას ჯერაც აკვირდებიან. მე, რა თქმა უნდა, გამიხარდება, თუ მამაცაშვილი ჩვენთან დარჩება. ისე, ჩემი და სანიკიძის შემხედვარე, დიჟონელები ისე კარგი თვალით უყურებენ ქართველებს, რომ ეგებ მამაცაშვილსაც არ უთხრან უარი.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 1 აპრილი —

**ფილადელფია 82:8. პორტლენდი**
ფილადელფია: გრინი (22)
პორტლენდი: მაილზი (18 ქულა, 10 მოხსნა), რენდოლფი (18)

**დალასი 127:117 საკრამენტო**
დალასი: ფინლი (29), ნოვიცკი (27 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (20 ქულა, 19 პასი)
საკრამენტო: ბიბი (23), ვებერი (22 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (21)

**ლეიკერსი 93:85 ჰიუსტონი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (26), მელოუნი (20 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), ონილი (18), პეიტონი (12 ქულა, 13 მოხსნა)
ჰიუსტონი: მობლი (26)... მინგი (6)



## რეგულარული ჩემპიონატი

— 1 აპრილი —

**მონრეალი 0:2 ფილადელფია**
0:0 0:1 0:1

**სენ ლუისი 2:3 დეტროიტი**
0:2 2:1 0:0

**ტამპა 4:3 ფლორიდა**
1:2 0:0 3:1

**ბოსტონი 3:3 ვაშინგტონი**
0:0 1:2 2:1 0:0

**ჩიკაგო 1:3 ნეშვილი**
0:2 1:0 0:1




# ვისია ბურთი და ვისია შაიბა

ბურთი ძვირია: ლეიკერსელი გერი პეიტონი და „ჰიუსტონელი" სტივ ფრენსისი იატაკზეც ჭიდაობენ. ასეთია, ენბიეის ერთი ჩვეულებრივი წამი. კანადურ ჰალიფაქსში კი გახურებულა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში და იმ პატარა სიპი შაიბისთვის ბრძოლაში რუს ოლგა პერმიაკოვას ლამის ფეხი მოუტეხია ამერიკელ შელი ლუნისთვის, ვინც საკაცით გაუტანიათ ყინულიდან.



# კონიაკი ტიუტჩევს



ძველი რუსის პოეტის სახელით დანათლულ ცხენ ტიუტჩევს და მის ჩაუქ მხედარს ტონი მაკკოის აინტრის დიდი ეროვნული შეხვედრის პირველი დღე მოუგიათ დაბრკოლებების გადალახვაში. ამ დღის ჯილდო მარტელის კონიაკის თასია.

# პირველი არაბული

ახლოა ბაჰრეინის დიდი საფორმულე პრიზის გათამაშება. ქვეყნის დედაქალაქი მანამა ახლა სწორედაც რომ ამ ამბით ცხოვრობს. არაბეთში ფორმულა პირველად შეგრიალდა, ხოლო სადაც ბოლიდია, იქ მისი საბურავიც საჭიროა.



## ფეხბურთი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXVII ტური

რეგენსბურგი 2:1 ნიურნბერგი
ტრირი 3:3 ალემანია
ლიუბეკი 1:0 ობერჰაუზენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXV ტური

ზანკტ პაული 1:0 ქემნიცი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXV ტური

ელვერსბერგი 1:0 შვაინფურტი
პფულენდორფი 1:1 მაინცი (მ)
კიკერსი 3:2 ზიგენი
ოფენბახი 1:1 აალენი

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXI ტური

მონაკო 3:3 აიაჩო

II დივიზიონი. XXXI ტური

გრენობლი 2:2 სენტ ეტიენი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIX ტური

ალვერკა 0:1 გიმარაეში

### ავსტრია

I დივიზიონი. XXVII ტური

კაპფენბერგი 1:2 ტიროლი
ვიორგლი 1:1 ლეობენი
ბლაიბერგი 0:4 რიდი
ლუსტენაუ 1:3 უნტერზიბენბრიუნი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXVIII ტური

ნაიმეგენი 4:0 ტილბურგი

II დივიზიონი. XXXI ტური

ეინდჰოვენი 1:1 ვეენდამი
აპელდორნი 1:0 სიტარდი
ემენი 2:2 იგლსი
ტელსტარი 1:1 სპარტა
ექსელსიორი 2:0 გრააფსხაპი
ვენლო 1:0 ჰელმონდი
დორდრეხტი 0:0 მაასტრიხტი
ჰერაკლესი 1:2 დენ ბოსხი
ოსი 3:0 ჰაარლემი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXIV ტური

კრინსი 2:1 ბელინცონა
ბადენი 1:0 ვინტერთური

### ინგლისი

III დივიზიონი. XL ტური

საუთენდი 4:2 სკანთორპი

### ირლანდია

პრემიერლიგა. III ტური

უოტერფორდი 2:1 დუბლინი
შელბურნი 3:0 დროჰედა
სენტ პატრიკსი 0:2 ბოჰემიანსი

### სერბეთი

პრვა ლიგა. XXII ტური

ობილიჩი 2:1 ნაპრედაკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge